# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 9 მარტი 2007 №52 (2975)

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# №27: 27!




არის! ზაზა ფაჩულიამ ნბა-ში კარიერის რეკორდი დაამყარა — „ვაშინგტონ ვიზარდსს“ გუშინწინ 27 ქულა ჩაუგდო და ერთით გადააჭარბა წინა სეზონში „ნიუ იორკთან“ ნაჩვენებ საუკეთესო შედეგს.

„სარბიელთან“ საახალწლო ინტერვიუში ზაზამ პირობა დადო, რომ ყველაფერს გააკეთებდა 26-ქულიანი რეკორდის გასაუმჯობესებლად და აი, სურვილი აიხდინა. ქულების კეთებასთან ერთად ფაჩულიამ სხვა საქმესაც ბრწყინვალედ გაართვა თავი — 12 მოხსნა, 4 პასი, 3 დაფარება და 1 ჩაჭრა მიათვალა. ერთი სიტყვით, ზაზა მატჩის გმირი იყო და „ატლანტამ“ 6-მატჩიანი იულბლო სერია რომ შეწყვიტა, უპირველესად ქართველს უნდა უმადლოდეს. გუშინ ფაჩულიას ამერიკაში შევეხმიანეთ და, ცხადია, ძირითადად „ვაშინგტონთან“ თამაშის ამბები გამოვკითხეთ...

— ნამდვილად არ ველოდი, რომ ეს მატჩი ჩემთვის კარიერაში საუკეთესო იქნებოდა. ბოლო თამაშებში შედარებით პასიური ვიყავი, რაც იმის ბრალი იყო, რომ პასებს იშვიათად მაძლევდნენ. „ნიუ იორკთან“ 12 ქულა გავაკეთე, „მაიამისთან“ წინა შეხვედრაში კი მხოლოდ შვიდს დავჯერდი და აქედან გამომდინარე, „ვაშინგტონთან“ თუ კარიერის რეკორდს დავამყარებდი, ნამდვილად ვერ წარმომედგინა.

**— როდის იგრძენი, რომ რეკორდის გაუმჯობესება შეგეძლო?**

— სიმართლე ვთქვა, ამაზე თითქმის არ მიფიქრია. მხოლოდ თამაშის ბოლოს მივხვდი, რომ რეკორდს მივუკაკუნე და, ასე ვთქვათ, ვერც გავიაზრე, როგორ დავაგროვე 27 ქულა. ბრძოლა ისეთი დაძაბული და უშეღავათო იყო, პირად მონაგარზე ფიქრის დრო არც მქონდა. ისეთი პრინციპული თამაში გახურდა, რომ მოგება ძალიან ფასობდა.

**— და ასეთი მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდი...**

— ვაშინგტონელმა ჯილბერტ არენასმა ჩემზე ერთი ქულით მეტი ჩააგდო, მაგრამ რადგან მისმა გუნდმა წააგო, საუკეთესოდ მე მაღიარეს. თამაში დაიწყო თუ არა, ვიგრძენი, რომ ყველაფერი გამომდიოდა. პირველივე წუთებიდან ყურადღების ცენტრში მოვექეცი და გუნდმა ჩემზე ააწყო თამაში.

**— თქვი, წინა მატჩებში პასებს არ მაძლევდნენო და ამჯერად რა მოხდა?**

— „ვაშინგტონთან“ ორი ძირითადი უკანახაზელი გვაკლდა — სპიდი კლექსტონი და ჯო ჯონსონი. ეს უკანასკნელი სულაც გუნდის მთავარი ლიდერია და როცა ის მოედანზეა, ყურადღების ცენტრში დგას. ამათ გარდა გვაკლდა მო უილიამსიც და ვცდილობდით, ერთ მუშტად შევკრულიყავით და როგორი თამაშიც წაგვივიდოდა, ის გვეთამაშა. საბედნიეროდ, მე თავიდანვე კარგად გამომივიდა ყველაფერი და, შესაბამისად, პასებსაც არავინ მიგვიანებდა.

**— შენს უშუალო მეურვე ბრენდან ჰეივუდთან საერთოდ არ გაგიჭირდა?**

— როგორც სტატისტიკიდან ჩანს, არა. ჰეივუდის გარდა დარიუს სონგაილა და კელვინ ბუტი მმეურვეობდნენ, თუმც მე მათგან პრობლემები თითქმის არ შემქმნია.

**— მაშინ ახლა ტიმ დანკანთან პაექრობა გაიხსენე, ვის „სან ანტონიოსთან“ წინა კვირაში 23 წუთში 23 ქულა ჩააგდე...**

— იმ მატჩში დანკანთან არაერთხელ მომიხდა ორთაბრძოლა და ტოლი არაფერში დავუდე, მაგრამ ჩემი უშუალო მეურვე სხვა იყო. ძალიან კარგად ვითამაშე „სან ანტონიოსთან“, მაგრამ დანკანსაც სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჰქონდა. ის თავის საქმეს აკეთებდა, მე — ჩემსას. საბოლოოდ დანკანის გუნდმა მოიგო და მოედნიდან თავაწეულიც ის გავიდა. „ვაშინგტონთან“ ჩაგდებული 27 ქულა იმიტომაც არის სასიხარულო, რომ ჩემმა გუნდმა გაიმარჯვა. აბა, რომ წაგვეგო, ეს შედეგი მხოლოდ ჩემს გულში დარჩებოდა და ამით ქომაგი ვერ გაიხარებდა. ამ სეზონში არაერთხელ ავცდი 20 ქულას, მაგრამ იმ მატჩებს ძირითადად ვაგებდით და იმდენად არ გამხარებია.

**— როგორი გამოხმაურება მოჰყვა შენს თამაშს?**

— განსაკუთრებული. შეიძლება ითქვას, „ატლანტას“ მე მოვაგებინე, ბომბარდირიც გავხდი და, მწვრთნელიდან დაწყებული, ჟურნალისტებით დამთავრებული, ყველა მაქებდა.

**— მწვრთნელი ახსენე და, მაიკ ვუდსონი ალბათ მიხვდა, რომ უსამართლოდ გექცეოდა, როცა ხუთეულში არ გაყენებდა...**

— არ ვიცი, ამაზე ვუდსონს არასდროს არაფერი უთქვამს. გაუგებარი იყო, თუ რატომ ამომაგდო ხუთეულიდან. მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა. ბოლო ხუთი მატჩია, ძირითადში ვარ და ვუდსონს საბოლოოდ დავუმტკიცე, რომ ამას ვიმსახურებ. ერთი მხრივ, კარგია, რომ დროებით ხუთეულში არ ვიყავი. ახლა გაცილებით ფხიზლად ვიქნები და ვეცდები, მწვრთნელს არც ერთ მატჩში უკმაყოფილების საფუძველი არ მივცე. დღეს უკვე აღარ მახსოვს, რომ გუშინ 27 ქულა ჩავაგდე, რადგან ხვალ მორიგი მატჩია და ახლა მთელი ყურადღება მომავალ თამაშზე მაქვს გადატანილი.

**ირაკლი ბერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

# ლიტვას ჰართსი დააკლდება

## ლიუბინსკასი ჩესნაუსკისს, ჩესნაუსკისი ლიუბინსკასს

**ევროშესარჩევ** ციკლში ლიტვის ნაკრები 24 მარტს კაუნასში საფრანგეთს მასპინძლობს, 4 დღეში კი ოდესაში უკრაინას სტუმრობს. ბალტიისპირელთა თავკაცმა ალგიმანტას ლიუბინსკასმა ამ მატჩებისთვის 28-კაციანი გაფართოებული შემადგენლობა გამოაცხადა.

ლიტველებს პრობლემები არ აკლიათ. ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა რუსული „სატურნის" ნახევარმცველმა ედგარას ჩესნაუსკისმა, თუმც ჩესნაუსკისს კონფლიქტი აქვს ლიუბინსკასთან, რომელიც სატურნელს მუდმივად აკრიტიკებს.

„ჩესნაუსკისი კარგი ფეხბურთელია. იმედია, მისი დამოკიდებულება ფეხბურთისა და ცხოვრების მიმართ შეიცვალა. ნაკრების ინტერესები ყველა პირადულზე მაღლა უნდა იდგეს" — განაცხადა ლიუბინსკასმა, ხოლო თავად ჩესნაუსკისი ამბობს, სანამ ლიუბინსკასი იქნება მწვრთნელი, ნაკრებში ჩემი ფეხი არ იქნებაო.

24-28 მარტს ლიტველებს „ჰართსის" ფეხბურთელები — დეივიდას ჩესნაუსკისი და ნერიუს ბარასა დააკლდება ტრავმის გამო, ასევე დაშავებულია კიდევ ერთი ჰართსელი, ნაკრების წამყვანი ნახევარმცველი შაიულიუს მიკოლიუნასი, თუმც ლიუბინსკასს მისი გამოჯანმრთელების იმედი აქვს.

*მეკარეები:* *ჟილვინას კარჩემარსკასი (დინამო მ, რუსეთი), მინდაუგას მალინაუსკასი (კაუნასი), ჟიედრუს კვილინსკასი (სუდუვა, ლიტვა), პაულიუს გრიბაუსკასი (ოცელული, რუმინეთი).*

*მცველები:* *ანდრიუს შკერლა (ვეტრა), ტომას ჟვირგჟდაუსკასი (ჰალმშტადტი, შვედეთი), როლანდას ჟიაუკშტასი (სატურნი, რუსეთი), მარიუს სტანკევიჩიუსი (ბრეშა, იტალია), ირმანტას ზელმიკასი (ტავრია, უკრაინა), მარიუს ზალიუკასი (ჰართსი, შოტლანდია), გედიმინას პაულაუსკასი (ეკრანასი), არუნას კლიმავიჩიუსი (დინამო მ. რუსეთი), ვიდას ალუნდერისი (ზაგლებიე, პოლონეთი).*

*ნახევარმცველები:* *ედგარას ჩესნაუსკისი (სატურნი, რუსეთი), დარიუშ მიცეიკა, ტომას ტამოშაუსკასი (ორივე მეტალურგსი, ლატვია), შაიულიუს მიკოლიუნასი (ჰართსი, შოტლანდია), დეივიდას შემბერასი (ცსკა, რუსეთი), მანტას სავენასი (ეკრანასი), ანდრიუს გედგაუდასი (ბაკი, აზერბაიჯანი), იგორის მორინასი (ჟალგირისი).*

*თავდამსხმელები:* *ტომას რამინიავიჩიუსი (კლადნო, ჩეხეთი), რობერტას პოშკუსი (ზენიტი, რუსეთი, ტომას დანილიავიჩიუსი (ბოლონია, იტალია), ედგარას იანკაუსკასი, ანდრიუს ველიჩკა (ორივე ჰართსი, შოტლანდია), ვიტალიუს კავალიაუსკასი (ეკრანასი), რიჩარდას ბენიუშისი (კაუნასი).*

**ილია ნანოგაშვილი**

## უეფას თასი 2006-2007

1/8 ფინალი. I მატჩები. გუშინ

**ლანსი (საფრანგეთი) 2:1 ლევერკუზენი (გერმანია)**

1:0 მონტერუბიო (17), 1:1 ქარიმი (51), 2:1 კუზენი (70პ)

**მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 0:0 ესპანიოლი (ესპანეთი)**

**ნიუკასლი (ინგლისი) 4:2 ალკმაარი (ჰოლანდია)**

1:0 სტეინსონი (7ს.კ.), 2:0 დაიერი (21), 3:0 მარტინსი (23), 3:1 არველაძე (30), 4:1 მარტინსი (38), 4:2 კოვერმანსი (73)

**სელტა (ესპანეთი) 0:1 ვერდერი (გერმანია)**

0:1 ალმეიდა (86)

**პსჟ (საფრანგეთი) 2:1 ბენფიკა (პორტუგალია)**

0:1 სიმაო (10), 1:1 პაულეტა (36), 2:1 ფრაუ (40)

**სევილია (ესპანეთი) 2:2 შახტარი (უკრაინა)**

1:0 მარტი (8პ), 1:1 პუბშმენი (20), 1:2 მატუზალემი (60პ), 2:2 მარესკა (88პ)

**რეინჯერსი (შოტლანდია) 1:1 ოსასუნა (ესპანეთი)**

0:1 გარსია (17), 1:1 ჰედმანი (90)

**ბრაგა (პორტუგალია) 2:3 ტოტენჰემი (ინგლისი)**

0:1 კინი (57), 0:2 მალბრანკი (72), 1:2 პაულუ ჟორჟე (75), 2:2 ზე კარლოსი (81), 2:3 კინი (90)

## როიალ ლიგა 2007

ნახევარფინალი

**კოპენჰაგენი (დანია) 3:1 ჰელსინგბორგი (შვედეთი)**

**ბრონდბიუ (დანია) 1:1(2:1დ.დ.) ოდენსე (დანია)**

## ფინეთი

ლიგის თასი. IV ტური

**ტამპერე 3:0 ოულუ**




რა ემცხეთა ნოდარ ახალკაცს მიშელ პლატინის გუშინდელ პრესკონფერენციაზე?

„ქართული ფეხბურთის განვითარებისა მჯერა და იმედია, 2018 წელს თქვენი ქვეყანა მსოფლიო ჩემპიონატს მოიგებს, ოღონდ ცხადია, მანამდე საფრანგეთი უნდა გახდეს ჩემპიონი" — ეს სიტყვები მიშელ პლატინიმ თქვა ეროვნულ სტადიონზე გამართულ გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

პრესკონფერენციის დაწყებამდე პლატინიმ ცოტა ხნით ეროვნული სტადიონი დაათვალიერა, ფოიეში ორიოდ წუთით ისაუბრა სტადიონის გენერალურ დირექტორ ირაკლი მეძმარიაშვილთან და მერე პრესკონფერენციაც დაიწყო

# როდის მოვა 2018?

## მიშელ პლატინი: ფეხბურთს გულშემატკივრის თვალით ვუყურებ

— ბედნიერი ვარ, რომ მეორედ მოვხვდი საქართველოში. ძალიან სტუმართმოყვარე ქვეყანაა. მე თბილისში არც გოლი გამიტანია, არც მომიგია და არც წამიგია, რადგან აქ არასოდეს მითამაშია. ვიცი, როგორ უყვართ თქვენთან ფეხბურთი და ისიც ვიცი, რა სირთულეებს აწყდება საქართველო განვითარების მხრივ. ვიცი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მონდომებაც, რათა ბავშვთა ფეხბურთი წინ წამოწიოს. გასაკვირი არაა, ქართულ ფეხბურთს უჭირდეს — საფრანგეთის ნაკრები ვიცე-ჩემპიონია და მას ექმნება პრობლემები.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია თქვენი მეგობარია. ხომ არ აპირებთ, მას უეფაში რაიმე თანამდებობა შესთავაზოთ?

— ჯერჯერობით, ასეთ რამეს არ ვგეგმავ.

— ეროვნული სტადიონი დაათვალიერეთ და რა შთაბეჭდილება დაგრჩათ? შეუძლია ამ სარბიელს მაღალი რანგის მატჩებს უმასპინძლოს?

— სტადიონი მომეწონა, მას კომისია შეაფასებს და ვფიქრობ, არ დაიწუნებს.

— ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისტებს ფეარ პლეის დაცვისკენ მოუწოდეთ, არადა, გუშინდელ და გუშინწინდელ მატჩებში ძალადობის ფაქტები მაინც იყო. როგორ აპირებთ ამასთან ბრძოლას?

— ფეხბურთს ემოცია უხდება, თუმც ძალადობა დასაგმობია. ამაზე არა მარტო საფეხბურთო, სახელმწიფო მექანიზმებიც უნდა ამუშავდნენ. „ვალენსია" — „ინტერის" მატჩის შემდეგ რაც მოხდა, უყურადღებოდ არ დავტოვებთ და დამნაშავეებს მკაცრად დავსჯით.

— თუ აპირებთ რაიმე ზომების მიღებას, რომ ეროვნულ ჩემპიონატებში გუნდების რიცხვი 16-ს ან 18-ს არ აღემატებოდეს?

— ეს მნიშვნელოვანი თემაა, თუმც საბოლოოდ მაინც ეროვნულმა ფედერაციებმა უნდა გადაწყვიტონ, რამდენი გუნდი ურჩევნიათ.

— ლეგიონერების ლიმიტზე რას იტყვით? არიან გრანდები, რომლებსაც ზოგჯერ თავისი ქვეყნის არც ერთი ფეხბურთელი არ გამოჰყავთ მატჩში.

— მე არ შემიძლია ეროვნული ფედერაციების წესების წინააღმდეგ გალაშქრება, მაგრამ ჩემი აზრის გატანა მსურს: შემიძლია, მხარი დავუჭირო 6+5 სისტემას (ანუ 5 ლეგიონერებზე მეტს არ შეეძლოს ამა თუ იმ მატჩში თამაში). ფეხბური გულშემატკივრებისაა და მეც უფრო გულშემატკივრის თვალით ვუყურებ ამ საყვარელ თამაშს.

— თქვენ თანასწორუფლებიანობის მომხრე ხართ. ეს იმას ნიშნავს, რომ შედარებით სუსტი ქვეყნების, იგივე საქართველოს როლი გაიზრდება ევროპულ ფეხბურთში?

— ჩვენ ისეთი კონცეფცია გვაქვს, სადაც გერმანიასა და მალტას თანაბარი უფლებები ენიჭებათ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და უეფას დამოკიდებულებაზე კი ერთს ვიტყოდი: როგორც უეფას პრეზიდენტი, 53 ქვეყნის ფედერაციას წარმოვადგენ და ყველას აზრს ვითვალისწინებ.

— ჩემპიონთა ლიგაში გრანდი ქვეყნების კლუბების რაოდენობის შემცირება და მათ ადგილზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გუნდებისთვის მეტი შანსის მიცემა რამდენად შესაძლებელია?

— მე არასოდეს მითქვამს, აღმოსავლეთ ევროპის კლუბებს შეღავათებს მივცემ-მეთქი. ნებისმიერმა კლუბმა მინდორზე უნდა დაამტკიცოს, რომ მეტოქეზე ძლიერია. უეფას სათავეში მოსვლის შემდეგ არაერთი პროექტი დავსახე, რომელსაც განვახორციელებ კიდეც.

— სომხეთ-აზერბაიჯანის შესარჩევი მატჩები ნეიტრალურ მინდორზე გაიმართება. თქვენი აზრით, კონკრეტულად სად იქნება უპრიანი?

— ამ თამაშის მასპინძლობაზე ორი კანდიდატურა გვაქვს, გადაწყვეტილებას კი უახლოეს დღეებში ჟენევაში მივიღებთ.

— 10-15 წლის წინ ფრანც ბეკენბაუერმა თქვა, საქართველოს დონის ნაკრებები გერმანიას არ უნდა ეთამაშებოდნენო. ამაზე რა აზრის ხართ?

— რა თქმა უნდა, ბეკენბაუერის აზრს არ ვეთანხმები. დიდი და პატარა მინდორზე ირკვევა, ფეხბური ყველასი უნდა იყოს.

— თქვენს პროექტში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გუნდების 16-დან 24-მდე გაზრდაცაა. როდის იქნება ეს შესაძლებელი?

— ეს იდეა დამუშავების პროცესშია, ისევე როგორც, სხვა საკითხები. 2016 წელს უკვე შესაძლებელი იქნება 24-გუნდიანი ევროპის ჩემპიონატის გამართვა.

დასასრულ მიშელ პლატინიმ საქართველოს ნაკრებს 24 მარტს შოტლანდიასთან მატჩში წარმატება უსურვა, ტაშის გრიალში დატოვა ეროვნული სტადიონი და გეზი აეროპორტისკენ აიღო.

ლეგენდარული ფრანგი ათენში გაფრინდა, სადაც ჩემპიონთა თასის ბარსელონიდან ჩატანის ცერემონიალი გაიმართება — 23 მაისს ხომ სწორედ საბერძნეთის დედაქალაქი უმასპინძლებს ჩემპიონთა ლიგის ფინალს. ქართული გუნდებისთვის ლიგის ფინალზე ფიქრი ალბათ ნაადრევია, მაგრამ მუსიე მიშელის პროექტების მიხედვით, ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა სასწაული არ უნდა იყოს...

**ილია ნანოგაშვილი**



# ქართველური მიმოხილვა

„დინამომ“ უცხოელები იყიდა და ამიტომ ყველა თამაში უნდა მოიგოს!

„დინამოს“ ჩეხი მწვრთნელი ჰყავს და ამიტომ ნებისმიერი მეტოქე უნდა დაამარცხოს!

ავსტრალიელ ზელიჩს ბუნდესლიგაში აქვს ნათამაშევი და ამიტომ წინ ვერავინ უნდა დაუდგეს!

ბოდიში, მაგრამ, რას ვერჩით, ხალხო, ამ გუნდს? არა, ხუმრობის გარეშე ვამბობ, რატომ ვკიდებთ ბევრი ადამიანის საყვარელ „დინამოს“ საოცარ ფსიქოლოგიურ ტვირთს? ან საერთოდ, რა განცხადებაა, შენ უცხოელი გყავს და ამიტომ უნდა მოიგო.

კიდევ, იტყვიან ხოლმე, „დინამო“ მაინც „დინამოაო“. კი მაგრამ, „ტორპედო“ რომ მაინც „ტორპედოა“, ბათუმელებს თასის მეოთხედფინალში არ უნდა მოეგოთ? რაიმე წესია და არ ვიცით? ერთი საუცხოო სიმღერისა არ იყოს, ვინც დალია ისევ იმან დალიოს?

მე პირიქით მგონია: დღევანდელი „დინამო“ კარგი გუნდია, ქართველი ფეხბურთელებიც კარგები ჰყავს და უცხოელებიც, პრობლემა კი ჩვენშია. ჩვენშია, აბა რა, „დინამო“ მაინც „დინამოაო“, გავიძახით და სახელის გამო ყიფიანის და გუცაევის დროინდელ გუნდს ვადარებთ. ავიღოთ ობიექტური კრიტერიუმი, გავიხსენოთ ჩვენს ცხოვრებაში ბოლო თხუთმეტი-ოცი წლის განმავლობაში რაღაცები რომ მოხდა და იქიდან გამომდინარე ვიმსჯელოთ.

პრობლემა ჩვენში რომ არ იყოს, განა გაჩნდებოდა მოსაზრება, რომ რაკი „დინამოს“ ერთ ფეხბურთელს ბუნდესლიგაში აქვს ნათამაშები, ამ გუნდმა აუცილებლად უნდა მოიგოს? რატომ, რა, უცხოელობა მოგებას ნიშნავს? თუ ასეა, ეს მარტო საქართველოს მიმართ უცხოელობას ეხება თუ პორტუგალიისთვისაც ასევეა? ერთი ეს არ მესმის და მეორე ის, მარტმა თებერვლისგან მარტო საქართველოში ისესხა დღეები თუ პორტუგალიაშიც.

აი, ჩვენ რომ გვეთქვა, „დინამომ“ გამოცდილი უცხოელი ფეხბურთელები დაიმატა, ჩვენი ბიჭებიც კარგები ჰყავს, სათავეში პროფესიონალი უდგას და ამიტომაც გუნდის გაძლიერებას, ალმასვლას, საერთაშორისო სარბიელზე გასვლას და იქ, ისევე როგორც საქართველოს პირველობაზე, კარგ თამაშს ველითო, სხვა იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ასე არ გვითქვამს. ჩვენ ავდექით და ზელიჩი, კრშკო, სპასოევიჩი და უპრინი ტოტალურ მოვლენად გამოვაცხადეთ და თავი რომ მოვიტყუეთ ერთია, ამ ხალხსაც ვანერვიულებთ. მერედა, ეს ხალხი გვერდით იყოს, „დინამოში“ მოთამაშე ქართველ ბიჭებს ვაყენებთ არასწორი ზეწოლის ქვეშ, თორემ სწორი ზეწოლა, იცოცხლეთ, კარგია. გეგონება, სხვა გუნდებმა, „ოლიმპმა“, „ვიტ ჯორჯიამ“, „ამერმა“, „ზესტაფონმა“, „სიონმა“ ან „ტორპედომ“ სერბულ-ხორვატიული გვარების გაგონებაზე კაპიტულაცია გამოაცხადეს. ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ დუშან უპრინის ხსენებაზე კახა ცხადაძეს, გიორგი ჩიხრაძეს, გიორგი კიკნაძეს, ნესტორ მუმლაძეს და სხვებს მოგების მადა დაეკარგათ? პირიქით, მოგებას ახლა არ ეძლევა განსაკუთრებული გემო?

ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია და თუ ვცდები, ჩათვალეთ, რომ ქართულ სპორტულ პრესაში კიდევ ერთ არაკომპეტენტურ წერილს გადააწყდით.

და მაინც, მოდი, „დინამოს“ ვაცადოთ და მივცეთ საშუალება, მარტში თებერვლისაზე ძლიერი იყოს, აპრილში მარტისაზე, მაისში აპრილისაზე...

„დინამო“ „დინამოაო“. ამიტომ რა, ბოლნისს ათიდან ათი უნდა მოუგოს?! აბა, ბოლნისელებს ჰკითხეთ. იქნებ ათიდან ათის მოგებას თვითონ აპირებენ.

მე თუ მკითხავთ, „სიონი“ „სიონია“, „ზესტაფონი“ „ზესტაფონია“, „ვიტ ჯორჯია ვიტ ჯორჯიაა“, „ამერი“ „ამერია“ და ასე განსაჯეთ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ „მანჩესტერ იუნაიტედია“.

ბოდიშის მოხდით ყველასთან, ვინც სხვანაირად ფიქრობს.

**ბაბუნა ბედია**



ქართველური მიმოხილვა

# დინამოსთან სხვა ამერი ითამაშებს

## ცრუ მითები არ უნდა შეიქმნას

**თბილისის „ამერი“ საქართველოში ერთადერთი გუნდია, ვისთვისაც თბილისის „დინამოს“ ჯერ არ მოუგია. მიმდინარე სეზონში ამერელებმა „დინამო“ ჩემპიონატშიც დაამარცხეს და თასის მერვედფინალშიც. 10 მარტს კი ეს გუნდები ერთხელაც შეხვდებიან ერთმანეთს საჩემპიონატო მატჩში და ვნახოთ, „დინამო“ ამერულ ნავსს გატეხავს თუ არა. მანამდე კი „სარბიელის“ კითხვებს „ამერის“ მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე პასუხობს...**



— „დინამოსთან“ სათამაშოდ „ამერი“ განსაკუთრებულად ემზადება, ვიდრე სხვა უშუალო კონკურენტებთან?

— „დინამოსთან“ თამაშს განსაკუთრებულად არ ვუდგებით, იგივე მოტივაციით გავდივართ მოედანზე, როგორც სხვა კონკურენტ გუნდებთან. ის კია, რომ სხვა კონკურენტებთან მატჩის დებიუტშივე ვუშვებთ გოლს და ეს საქმეს გვირთულებს. „დინამოსთან“ თამაშისას პატარ-პატარა დეტალებსაც ვითვალისწინებთ და ამას შედეგი მოაქვს.

— და რა არის ეს დეტალები?

— „დინამო“ ალბათ ფიქრობს, რომ რადგან „დინამოა“, აუცილებლად უნდა მოიგოს. ჩვენ სხვა გუნდებზე ასე არ ვფიქრობთ.

— 10 მარტს ერთხელაც შეხვდებით „დინამოს“ — ამ მატჩისთვის ზედმეტად თავდაჯერებული ხომ არ არის „ამერი“?

— ჩვენი მხრიდან არანაირი ქედმაღლობა და ზედმეტი თავდაჯერება არ იქნება. თუმც იმ გუნდებთან, ჩვენი უშუალო კონკურენტები რომ არ არიან, ხანდახან მართლაც ზედმეტად თავდაჯერებულები ვართ და ამის გამო ვისჯებით კიდეც.

— ალბათ ამიტომაც იყო, რომ ჩემპიონატის ბოლო ტურში შინ „ბათუმს“ ვერ მოუგეთ...

— „ბათუმთან“ რამდენიმე ფაქტორი დაემთხვა ერთმანეთს — ბევრი ტრავმიანი და დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი მოვისაკლისეთ და პირველ ტაიმში აგრესია გვაკლდა. ისიცაა, რომ „ბათუმი“ საკმაოდ ნორმალური გუნდია.

— მეოთხედფინალის საპასუხო მატჩში „დინამოსთან“ დაცვითი ფეხბურთი ითამაშეთ — როგორი იქნება „ამერი“ 10 მარტს?

— „ამერს“ იგივე შემართება ექნება და სხვანაირად ითამაშებს. „ამერის“ ფეხბურთელები ახლა ოპტიმალურ ფორმას უახლოვდებიან.

— ფორვარდების რაოდენობას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს — ეთანხმებით ასეთ შეხედულებას?

— თუ ერთი გამოკვეთილი ფორვარდით თამაშობ, ამის კომპენსირებას სწრაფი, შემტევი სტილის შუახაზელები უნდა ახდენდნენ, რომლებსაც შეტევის კარგად დაბოლოებაც შეუძლიათ. მოკლედ, გააჩნია, რა შემსრულებლები გყავს გუნდში. არავის კომპეტენციაში არ ვიჭრები, უბრალოდ, საკუთარ აზრს გამოვთქვამ — თუ დიდი მიზნებისთვის იბრძვი, ოპტიმალურ ვარიანტად ორი ფორვარდით თამაში მიმაჩნია.

— „დინამოსთან“ სათასო მატჩში ამერელთაგან რატი წინამძღვრიშვილი გამოირჩა — როგორ ფიქრობთ, რა კომპონენტში აქვს მოსამატებელი ამ ფორვარდს?

— წინამძღვრიშვილს პროგრესი აქვს, მისი წინსვლა სწორედ დაძაბულ, პრინციპულ თამაშებში უნდა მოხდეს. რატის ყველაზე დიდი პლუსი ის არის, რომ ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლია საგოლე მომენტის შექმნა. თუმც მას ჯერ კიდევ დასახვეწი აქვს ბევრი კომპონენტი, თუნდაც მარჯვენა ფეხით თამაში, მეტი სწორი მოძრაობა...

— დინამოელთაგან კი „ამერთან“ სათასო დაპირისპირებაში სანდრო იაშვილმა ითამაშა კარგად — მას საინტერესო ფეხბურთელად არ მიიჩნევთ ეროვნული ნაკრებისთვის?

— მის ხასიათზე ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ პრობლემები ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელს აქვს და ამის გამო ცრუ მითები არ უნდა შეიქმნას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენნაირ ქვეყანაში ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი არსებობს. იაშვილი იქით უნდა მიერიოს პრობლემებს და ძალიან მაღალი კლასის ფორვარდი გახდება. ვფიქრობ, იაშვილს ამ ეტაპზეც აუცილებლად უნდა მიეცეს შანსი ეროვნულ ნაკრებში, რაც მას კიდევ უფრო მეტ სტიმულს შესძენს.

**დავით თავართქილაძე**

მიიღე მონაწილეობა წამახალისებელ ლატარიაში




საინფორმაციო მხარდაჭერა
სარბიელი
ოლიმპი

გათამაშების ჯეკპოტი გახდა 3000 ლარი!



# ლადო ბურდული კრივოისთან სწორია: კონტრაქტის გაგრძელებას არ აპირებს

**საქართველოს** ნაკრების ნახევარმცველმა ვლადიმერ ბურდულმა უკრაინული კრივოი როგის „კრივბასის“ შემადგენლობაში თექვსმეტი მატჩიდან თხუთმეტი ითამაშა. ის ერთი შეხვედრაც „ზედმეტი“ ყვითელი ბარათების გამო გამოტოვა. ზამთრის შესვენებისას „კრივბასს“ მწვრთნელი შეეცვალა — ალექსანდრ კოსევიჩის ნაცვლად ოლეგ ტარანი დაინიშნა. ახალი თავკაცის ხელში „კრივბასმა“ უკვე გამართა ერთი მატჩი, ოღონდ ჩვენებურის გარეშე...

„გასვლითი შეხვედრა გვქონდა. ვერ გეტყვით, რა ტაქტიკური ჩანაფიქრით ითამაშა მწვრთნელმა, მაგრამ ფაქტია, ძირითადში არ დამაყენა. შესაძლოა, შეცვლაზე კი შევეყვანე, მაგრამ თამაშის მსვლელობისას გაუთვალისწინებელი შეცვლების გაკეთება მოუხდა და მეც ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დავრჩი“ — გვითხრა ბურდულმა.

ტარანის ტაქტიკური მონახაზი ერთია, მაგრამ ბურდულსა და კრივოიროგელთა მწვრთნელს შორის მთლად იდეალური ურთიერთობაც არ არის. შესაძლოა, ჩვენებურის უთამაშებლობის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყოს.

„ტარანთან კონფლიქტური სიტუაცია ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ ჩვენს ურთიერთობას იდეალურიც არ ეთქმის. მიზეზი? გუნდმა კონტრაქტის გაგრძელება შემომთავაზა, მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებ და ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ვაპირებ“.

რატომ იკავებს ბურდული თავს ახალი კონტრაქტისგან? ამის მიზეზი ფინანსური პირობები არ უნდა იყოს. 26 წლის ნახევარმცველმა ბოლო სანაკრებო მატჩებში მშვენივრად ითამაშა და არ არის გამორიცხული, კლუბის შეცვლაზე ფიქრობდეს.

„რამდენიმე წინადადება კი იყო, მაგრამ ჯერ სერიოზული არაფერია. „კრივბასთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლომდე მაქვს და არ არის გამორიცხული, უკეთეს გუნდში გადავიდე“.

ევრო 2008-ის შესარჩევის უახლოეს თამაშამდე ორ კვირაზე ცოტა მეტია დარჩენილი. ბურდულს იმედი აქვს, რომ საშოტლანდიოდ კლაუს ტოპმიოლერი აუცილებლად გამოიძახებს.

„სამწვრთნელო შტაბიდან ჯერ არავინ შემხმიანებია, თუმც გაზეთებიდან ვიცი, რომ ტოპმიოლერს უთქვამს, ბურდულს და სირაძეს აუცილებლად გამოვიძახებო. იმედი მაქვს, ასე იქნება“.

ფეხბურთელი დარწმუნებულია, რომ ნაკრებს შოტლანდიაში სამი ქულის აღება შეუძლია. ამაში ნაკრების პროგრესმა დაარწმუნა, მისი აზრით, ტოპმიოლერის ხელში ნაკრები გაცილებით უკეთეს ფეხბურთს თამაშობს.

„ნაკრებმა აშკარად მოუმატა. ეს მწვრთნელის დამსახურებაა. ბოლო მატჩებმა იმედი ჩაგვისახა და შოტლანდიაში მოსაგებად ვითამაშებთ. მეტოქე სულაც არ არის დაუმარცხებელი. მართალია, შოტლანდიაში თვით საფრანგეთის ნაკრებმა წააგო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოგება არ შეგვიძლია. ყველაფერს გავილებთ, რათა მეტოქე დავამარცხოთ“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გოგიტიძისთვის მეტოქე სულერთია
## ადელი ბათუმისთვისაც უმია



საშუასეზონო შესვენების დროს „ბათუმი“ ძალიან გადახალისდა და გასავარდნ ზონასთან მოტრიალე გუნდმა ქულების მოგროვება დაიწყო. მოგება „დილასთან“ და ფრე „ამერთან“ — ეს არის ბათუმელთა აქტივი მეორე წრეში. ზღვისპირული გუნდი საქართველოს თასის ნახევარფინალშიც გავიდა — მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრაში „ტორპედოს“ სტუმრად 3:0 მოუგო. როგორც ჩანს, ბათუმში ფეხბურთისადმი მიდგომა სასიკეთოდ შეიცვალა და „ბათუმი“ ალბათ ეცდება, ჩემპიონატშიც მოწინავე პოზიციებზე გადაინაცვლოს. ბათუმური ამბების გასაგებად გუშინ გუნდის მთავარ მწვრთნელ ამირან გოგიტიძეს შევეხმიანეთ...

**— მეორე წრე კარგად დაიწყეთ...**

— ძალიან კარგი კონტინგენტი შეიკრიბა. ისეთი ფეხბურთელები მოვიდნენ, მოტივაცია რომ არ დაეწუნებათ. ყველაფერთან ერთად გუნდში ერთსულოვნებაა და ეს წარმატების ერთ-ერთი გარანტია.

**— თასის ნახევარფინალში გახვედით და აქცენტს თასზე გადაიტანთ?**

— ორივე ფრონტზე მხოლოდ ბოლომდე საბრძოლველად გავალთ, თუმც თასთან უფრო ახლოს ვართ. ჩვენი მიზანი იქნება, რაც შეიძლება, შორს წავიდეთ, როგორც თასზე, ისე ჩემპიონატში.

**— ნახევარფინალში მეტოქედ ვის ისურვებდით?**

— სიმართლე რომ ვთქვა, სულერთია. მათგან მეორე წრეში მხოლოდ „ამერის“ თამაში ვნახე. „ზესტაფონის“ და „სიონის“ თამაშები კი არ მინახავს, მაგრამ ფაქტია, სამივე მეტოქე ძლიერია. მთავარია, ფორტუნამ გადმოგვხედოს და ამასთან კარგი იქნება, თუ მეორე თამაში შინ გვექნება.

**— საშინაო შეხვედრებზეც უნდა გკითხოთ. თქვენი მეტოქეები ადელის სტადიონით უკმაყოფილონი არიან...**

— ფაქტია, მოედანი იდეალურ მდგომარეობაში არ არის, მაგრამ თამაში ნამდვილად შეიძლება. არ მგონია, ეს რამე უპირატესობას გვაძლევდეს. ეს მოედანი ჩვენთვისაც ისევე უცხოა, როგორც სხვებისთვის. დიდი სურვილი გვაქვს, უკეთესი სტადიონი გვქონდეს, მაგრამ ამ ეტაპზე ამით უნდა დავკმაყოფილდეთ. შეგვეძლო, სხვა ქალაქში გვეთამაშა, მაგრამ არ ვისურვეთ.

**— ახალწვეულებიდან ყველაზე მეტად ვის გამოარჩევთ?**

— ყველა კარგი ფეხბურთელია, მაგრამ გიორგი თურმანიძე და გიორგი ნერგაძე მართლაც პროფესიონალები არიან. ვარჯიშებზეც სამაგალითოდ ირჯებიან. სასურველი კი იქნება ამ ბიჭების შენარჩუნება, მაგრამ ისინი ჩვენთან განათხოვრებით არიან...

**— მათი გამოსყიდვა ფინანსებთანაა დაკავშირებული, ამ მხრივ რა მდგომარეობაა გუნდში?**

— გვპირდებიან, რომ პრობლემები აღარ იქნება. სპონსორებიც კმაყოფილნი დარჩნენ მეორე წრის თამაშებით და ჯერჯერობით დაფინანსებაზე უარის თქმას არ აპირებენ. თუ შედეგი ვაჩვენეთ, შესაძლოა, დაფინანსება გაიზარდოს და კიდევ უფრო ამბიციურები გავხდეთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მოდებაძეს აგრესიისთვის იმეტებენ

**ხანგრძლივი** პაუზის შემდეგ ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ ძირითად შემადგენლობასთან ვარჯიშს შეუდგა ირაკლი მოდებაძე.

ამ ფორვარდმა, რომელიც საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატად მოიაზრება, საკმაოდ მძიმე ოპერაცია გადაიტანა და კარგა ხანს უქმობდა. მოდებაძემ „ზაპოროჟიეში“ საშუასეზონო შეკრებები გამოტოვა და ინდივიდუალური პროგრამით ემზადებოდა. გუშინ კი გუნდს შეუერთდა და როგორც უკრაინელი ჟურნალისტები იუწყებიან, ჯოგრიანადაც ივარჯიშა.

ზაპოროჟელთა მწვრთნელ სერგეი იაშჩენკოს მოდებაძე-კაბანოვის დუეტით უკრაინის ჩემპიონატში ყველაზე აგრესიული თავდასხმის შექმნა სურს — გვამცნობს უკრაინული მედია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ლავიწის დრო არ ვიცით

**საკმაოდ** სერიოზული გამოდგა ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში „ამერთან“ მიღებული ტრავმა „ბათუმის“ ნახევარმცველ გიორგი თურმანიძისთვის. ზღვისპირელთა ახალწვეული სავარაუდოდ ერთ თვეს ვერ ითამაშებს.

თურმანიძეს ლავიწის ძვალი აქვს გატეხილი და ოპერაცია უკვე გაუკეთდა. ფეხბურთელს ძვლების ფიქსაცია დასჭირდა. ექიმები ზუსტად ვერ ამბობენ, საბოლოოდ როდის გამოჯანმრთელდება მათი პაციენტი.

თურმანიძე „ბათუმში“ მეორე წრის დასაწყისში გადავიდა, მანამდე „ზესტაფონში“ თამაშობდა და გუნდს კაპიტნობდა კიდეც.

თქმა არ უნდა, თურმანიძე „ბათუმისთვის“ დიდი დანაკლისია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ჰენრიკ ლარსონის სამთვიანი იჯარა ამოიწურა და 35 წლის შვედი ფორვარდი „ჰელსინგბორგში" ბრუნდება. ბოლო წლების ერთ-ერთმა ყველაზე ძლიერმა გოლეადორმა განაცხადა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში" გატარებული ეს პერიოდი არასოდეს დაავიწყდება — „წითელი ეშმაკების" რიგებში მან „ოლდ ტრაფორდზე" თავის სადებიუტო მატჩშიც გაიტანა გოლი და ბოლო ევროპულშიც...

AFP

# მივალ, მიმყვება
## ჰენრიკ ლარსონის ათი კვირა

— ინგლისში გატარებული დროით ისიამოვნეთ?

— დიახ, ძალიან ვისიამოვნე. არ მეგონა, რომ დრო ასე მალე გავიდოდა. საერთოდ, ასეა, დრო სწრაფად გადის, როცა მას კარგად ატარებ. „მანჩესტერ იუნაიტედი" ბრწყინვალე და კარგად ორგანიზებული გუნდია. ფეხბურთელებიც და ქომაგებიც ჩინებულად მეპყრობოდნენ.

— სათამაშო თვალსაზრისით?

— ჩემს ასაკში აქ ჩამოსვლა და ასეთ ბრწყინვალე ფეხბურთელებთან ერთად თამაში საოცარი იყო. მცირედითაც ვკმაყოფილდებოდი და არც მეგონა, რომ „მანჩესტერში" თამაშის საშუალება მომეცემოდა, თუმცა მიხარია, რომ ეს მოხდა.

— ისე ლაპარაკობთ, თითქოს 65 წლის იყოთ და არა 35-ის...

— ფეხბურთში 35 წლისას უკვე ჩამოწერილად გთვლიან. აქ 20-21 წლის ბიჭებთან ერთადაც მომიწია თამაშმა. მე უკვე ვეტერანი ვარ, თუმცა თითოეული წუთისგან სიამოვნება და გამოცდილება მივიღე.

— **აქეთ-იქით მოგიწიათ მგზავრობამ — ხან შვედეთი, ხან ინგლისი. არ დაიღალეთ?**

— არა, შინ მხოლოდ 2-3-ჯერ ვიყავი. უფრო ხშირად აქ ჩემი ცოლ-შვილი ჩამოდიოდა. როცა კონტრაქტს ხელი მოვაწერე, ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი. ასე რომ, ამ საკითხზე წუწუნს ნამდვილად არ ვაპირებ.

— თქვენი მოლოდინი გამართლდა?

— როცა ჩამოვედი, არ ვიცოდი, რამდენად ხშირად მომეცემოდა თამაშის საშუალება. საბედნიეროდ, საკმაოდ ხშირად მათამაშებდნენ და მეც ვცდილობდი, თითოეული შანსი გამომეყენებინა, თითოეული წუთისგან მაქსიმალური სიამოვნება მიმეღო.

— „ოლდ ტრაფორდზე" სადებიუტო მატჩშივე გაიტანეთ, რაც ადვილი არ არის...

— ეს საოცარი იყო. გაიტანო „ოლდ ტრაფორდზე" შენს სადებიუტო მატჩში და თან გუნდმა მოიგოს, განსაკუთრებული რამ არის. ეს არასოდეს დამავიწყდება.

— რას გაიხსენებთ ყველაზე მეტად?

— არ ვიცი, ამას მოგვიანებით გეტყვით. ახლა ამაზე საუბარი არ მინდა. ბევრი სასიამოვნო მოგონება დამრჩება, რაც ძალიან კარგია. „მანჩესტერში" სულ რაღაც ათი კვირა გავატარე, მაგრამ ამ მოკლე პერიოდმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

— დარჩენის შანსი არ გაქვთ?

— კი, მაგრამ მაშინ „ჰელსინგბორგს" ჩემი სათანადო შემცვლელი უნდა ეპოვა. ეს ვერ მოხერხდა და ახლა უკან დაბრუნების დროა.

# შენ მარტო არ ხარ, არსენ!

„**არსენალის**" შვედი ვარსკვლავი ფრედი ლიუნგბერგი ამბობს, რომ მის გუნდს ინგლისელი მსაჯები ცუდად ეპყრობიან და ეს ნათქვამი სხვა არაფერია, თუ არა ფეხბურთელის მხრიდან მწვრთნელ არსენ ვენგერის გამოსარჩლება: ფრანგ სპეციალისტს მძაფრი გამოსვლების გამო ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისგან თავის დაცვა მოუწევს.

მართლაც, ვენგერის ნათქვამი, მსაჯები „არსენალს" სჯიანო, ინგლისური ფეხბურთის შეფებს რეაქციის გარეშე ვერაფრით დარჩებოდათ, თუმცა, თავის მხრივ, ვერც ლიუნგბერგი შეატოვებდა შეფს მაღალჩინოსნებს. ჰოდა, თქვა კიდევაც ლიუნგბერგმა, რაკილა ვენგერი ასე ამბობს, ესე იგი, მიზეზი აქვსო...

„ასეთ საკითხებზე შეფი მთელი კლუბის სახელით ლაპარაკობს და თავად წყვეტს, როდის ამოიღოს ხმა და როდის გაჩუმდეს. ინგლისური ფეხბურთი ძალისმიერია, ჩვენ კი ტექნიკურ ფეხბურთს ვთამაშობთ და ამიტომ ხშირად კოჭებში გვხვდება ხოლმე. ამა თუ იმ მეტოქესთან თამაშის წინ ხშირად წამიკითხავს მისი რომელიმე ფეხბურთელის ნათქვამი, „არსენალი" არ მომწონს და ერთს გემრიელად მივარტყამთო. და ვინაიდან მსაჯები ამ მირტყმების საწინააღმდეგოდ არაფერს აკეთებენ, მუქარა ხშირად ახდება ხოლმე. ახლა თქვენ შეგიძლიათ, ჩემი ნათქვამიც ეჭვქვეშ დააყენოთ, მაგრამ „არსენალის" გადასახედიდან ყველაფერი ზუსტად ასეა. იმავე, „ბლექბერნთან" ასოციაციის თასზე 0:1 წაგება ღვეძლე ვერ მომინელებია, რადგან იმ თამაშში, სულ მცირე, ერთი პენალტი გვეკუთვნოდა. მერედა, თქვა ვინმემ რამე? არა. მაშინ, როდესაც სხვა კლუბებს პენალტს არ დაუნიშნავენ, სკანდალი აგორდება ხოლმე".

**ბაჩუნა ძიძია**

# არ გავჩუმდები!



AFP

# ჟოზე მაურინიუმ იცის!
## ინგლისური მაინც სულ სხვაა



**რა** სდომებია ფრენკ ლამპარდს ყველაზე მეტად, იცით? ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „ლივერპულის" თავიდან არიდება — მოგეხსენებათ, „ჩელსის" გარდა ლიგას შემორჩენილ რვა გუნდს შორის ინგლისური კიდევ ორია, „ლივერპული" და „მანჩესტერ იუნაიტედი".

რაფა ბენიტესის ბიჭებმა მერვედფინალში „ბარსელონასთან" ნაღდი ლივერპულური თამაშით დაამტკიცეს, რომ რა გინდა რა მეტოქისთვის ძალიან სახიფათონი არიან, „ლურჯებს" კი ორი წლის წინანდელი მოგონება სტანჯავთ — ჩემპიონთა ლიგის მაშინდელ ნახევარფინალში ისინი სწორედ „ლივერპულთან" დამარცხდნენ.

„ზოგადად, ძნელი სათქმელია, რა სჯობს, ვთქვათ, „მილანთან" თუ რომელიმე ინგლისურ კლუბთან თამაში, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ ინგლისური დაპირისპირება თავისებური მუხტით არის გაძლიერებული და ბრძოლას განსხვავებულ იერსახეს აძლევს".

ცნობისთვის: ლამპარდს, რომელმაც „ჩელსის" ნახევარფინალში გასვლაში დიდი როლი ითამაშა, ლონდონელებთან ახალი კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია.

„ყველაფერი კლუბზეა დამოკიდებული. დარჩენა - მან უნდა შემომთავაზოს და მეც მოთმინებით ველოდები ამ შემოთავაზებას. ამწუთას „ჩელსიში" ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი რამ ხდება. ამასთან, ჩვენ სეზონის გადამწყვეტ მონაკვეთში ვიმყოფებით. სხვათა შორის, ამბობენ, რომ ჩემი წასვლა-დარჩენა ჟოზეს წასვლა-დარჩენაზეა დამოკიდებული და ყველანი ამისთვის ველოდებით ერთმანეთს, მაგრამ გარწმუნებთ, ეს ასე არ არის. ჩემი და მაურინიუს მომავალი ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის".

საინტერესოა, რომ „ჩელსის" ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას „ბლექბერნის" სამხრეთაფრიკელი თავდამსხმელი ბენი მაკკარტი უწინასწარმეტყველებს. მაკკარტი რაღა შუაშიაო, იკითხავს ვინმე. საქმე ის გახლავთ, რომ სამხრეთაფრიკელი ჟოზე მაურინიუს კარგად იცნობს — ის 2004 წელს იმ „პორტუს" ფეხბურთელი იყო, რომელსაც „ჩელსის" დღევანდელმა თავკაცმა ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა.

„ჩემპიონთა ლიგაში ჩემი ფავორიტი „ჩელსია" — თქვა ფორვარდმა — მაურინიუს ეს თასი ერთხელ უკვე აქვს მოგებული და კარგად იცის, რა და როგორ უნდა გააკეთოს. ჟოზე ნებისმიერ მეტოქეს უმცირეს დეტალებამდე იცნობს და ამასთან თითოეული თავისი ფეხბურთელის მომზადებაში უბადლოა. ჟოზე მაურინიუ ფანტასტიკური მწვრთნელია".

**ბაჩუნა ძიძია**

# ორი მინდა, ერთს მოგცემთ

„**ინდეპენდენტის**" ცნობით, „ჩელსის" ნახევარმცველი კლოდ მაკელელე სეზონის დასრულების შემდეგ გუნდიდან წავა. 34 წლის ფრანგის კონტრაქტი 2008 წელს მთავრდება და სურს, რომ კიდევ ორით გაუხანგრძლივონ, კლუბი კი მხოლოდ ერთი წლით გაგრძელებას სთავაზობს, რადგან მის პოზიციაზე უკვე გამოჩნდა ახალი კაცი — ჯონ ობი მიკელი, რომელიც კარგად ჩაეწერა „ჩელსიში".

# აბიდალი დე როსიმ შეაშინა

„**ლიონის**" და საფრანგეთის ნაკრების მარცხენა მცველი ერიკ აბიდალი, ალბათ უფრო „ბარსელონაში" გადავა, ვიდრე „არსენალში" ან „ლივერპულში". ამის შესახებ „გაძეტა დელო სპორტს" ფეხბურთელის აგენტმა დავიდ ვენდიტელიმ განუცხადა. ადრე აბიდალი უფრო იტალიისკენ იხრებოდა, მაგრამ „რომა" — „ლიონის" მატჩში დე როსისგან რასისტული შეურაცხყოფის გამო სერია A-ში გადასვლა გადაიფიქრა. მისი კონტრაქტი „ლიონთან" 2009 წლის ზაფხულში იწურება — აბიდალის ფასი 15 მილიონი ევროა.

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ჩემპიონთა ლიგა 2006–2007
## მერვედფინალი. საპასუხო მატჩი

**ბაიერნი (გერმანია) 2:1 რეალი (ესპანეთი) (2:3)**

1:0 მაკაი (1), 2:0 ლუსიო (66), 2:1 ვან ნისტელროი (83პ)
ბაიერნი: კანი, სანიოლი (გიორლიცი 85), ლუსიო, ვან ბუიტენი, ლაში, სალიჰამიჯიჩი, ვან ბომელი, ჰარგრივსი, შვაინშტაიგერი, მაკაი (კ. პიზარო 69), პოდოლსკი (დემიკელისი 88)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
რეალი: კასილიასი, მ. ტორესი, ს. რამოსი, ელგერა, რ. კარლოსი, ემერსონი (გუტი 32), გაგო (რობინიო 75), მ. დიარა, რაული, იგუაინი (კასანო 46), ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: რამოსი, ვან ბომელი, პოდოლსკი, გუტი, დიარა, ვან ბომელი, დიარა
გაძევება: ვან ბომელი (82), დიარა (82)
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
66 000 მაყურებელი




# მიუნ–ჰე!

**ჩემპიონთა** ლიგა მადრიდის „რეალისა“ და „ბარსელონას“ გარეშე დარჩა. ფაბიო კაპელოს სამეფო თეთრებმა სამშაბათს „ლივერპულის“ მიერ „ბარსას“ წყენა ნახეს და მეორე დღეს მხნედ გავიდნენ მიუნხენის „ალიანს არენაზე“, თუმცა...

ვის რაში სჭირდება ის სიმხნევე და თავდადება, რომელმაც მეტოქეს მარტო 11 (!) წამი გაუძლო? ზუსტად ეს დრო ეყო „ბაიერნის“ ჰოლანდიელ როი მაკაის, რობერტო კარლოსის შეცდომის შემდეგ იკერ კასილიასის კარი რომ დაელაშქრა — ეს ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ყველაზე სწრაფი გოლია.

შეგახსენებთ: ადრინდელი რეკორდი ლონდონის „არსენალის“ ბრაზილიელ ჟილბერტო სილვას ეკუთვნოდა, რომელმაც 2002 წლის 25 სექტემბერს „პსვ ეინდჰოვენს“ 20 წამში გაუტანა.

„ჩვენ მოგებას და მომდევნო ეტაპზე გასვლას ვიმსახურებდით. სწრაფმა გოლმა „ბაიერნის“ შანსები ერთიორად გაზარდა, თუმცა შემდეგ ვან ნისტელროის მიერ გატანილმა პენალტმა საქმე გაგვირთულა. მეოთხედფინალში ღირსეულად გავედით... „რეალი“ ძლიერი გუნდია, თუმცა ფაბიო კაპელომ სერიოზული შეცდომები დაუშვა“ — განაცხადა მატჩის შემდეგ როი მაკაიმ.

კაპელომ ივან ელგერასა და სერხიო რამოსის წინ მრისხანე სამეული, დიარა-გაგო-ემერსონი დააყენა, რომელთა ფიზიკური ძალის და ოსტატობის წყალობით სურდა „ბერნაბეუზე“ მიღწეული 3:2-ის შენარჩუნება.

მერე რაც მოხდა, მთელმა მსოფლიომ იცის — სენიორ კაპელოს გეგმები ექსდეპორტივოელმა და „რეალის“ ავან-ჩავანის კარგად მცოდნე მაკაიმ გააცამტვერა.

ახლა საქმე ის არის, დატოვებენ თუ არა ამ წაგების შემდეგ დონ ფაბიოს მადრიდელთა მწვრთნელად. ბუნებრივია, შუა სეზონში დამრიგებლის მოხსნა მომგებიანი ნაბიჯი არ უნდა იყოს, თუმცა, აბა, სამეფო თეთრების სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს მოვუსმინოთ: „სჯობს, კაპელოს და „რეალის“ თანამშრომლობაზე „ბარსელონასთან“ მატჩის შემდეგ ვისაუბროთ. „ბაიერნთან“ წაგება დიდი დარტყმა იყო ჩვენთვის. ჩემპიონთა ლიგაში მეტოქეს მატჩის მეთერთმეტე წამზე ასეთ საჩუქარს არ უძღვნიან ხოლმე. ვერ შეგპირდებით, რომ კაპელო „ბარსელონასთან“ აუცილებლად იქნება“.

მოკლედ, თუ „რეალმა“ „ბარსელონასთანაც“ წააგო, მაშინ...

ბრაზილიელმა ლუსიომ კი სამეფო გუნდს „სანტიაგო ბერნაბეუზეც“ გაუტანა და „ალიანს არენაზეც“.

„ბოლომდე ვიბრძოლეთ. უფრო მეტი გოლის გატანაც შეგვეძლო“ — განაცხადა ლუსიომ.

მისი თანაგუნდელი ლუკაშ პოდოლსკი კი უფრო თამამი და პირდაპირი გამოდგა: „მერვედფინალის ორივე თამაშში მეტოქეს აშკარად ვაჯობეთ. დღეს კი ოთხი ან ხუთი გოლის შეგდებაც შეგვეძლო“.

რაღა რჩება წლეულს „რეალს“? კოპა დელ რეი დაკარგულია, ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა და ახლა ნუგეში ის იქნება, შინაურ პრიმერაში გაიმარჯვოს, თუმცა იქაც საკმაოდ რთულად აქვს საქმე და საეჭვოა, 2006-07 წლების სეზონის მიწურულს მადრიდელთა ინჩასობამ სიბელესის შადრევანთან ტრადიციული ზეიმი გამართოს.

„ეს ჩვენ მიერ ნათამაშები ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო. ყველამ უშელავათოდ იბრძოლა, ამიტომაც მატჩის შედეგით ძალიან დამწუხრებულნი ვართ. „ალიანს არენაზე“ დაცვითი ტაქტიკა ავირჩიეთ, გოლი არ უნდა გაგვეშვა, მაგრამ მაკაის დარტყმამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა... იმედგაცრუებული ვარ, რომ ძირითადში ვერ მოვხვდი. მიუხედავად ყველაფრისა, მადრიდში კაპელოს დარჩენას ყველანაირად ვემხრობით“ — უთხრა ნამატჩევს ჟურნალისტებს გუტიმ.

ახლა წინ „ბარსელონასთან“ საჯილდაო „ელ კლასიკოა“.

კასტილიურ-კატალონიური გრანდებისთვის ლიგა დამთავრდა... მიუნხენის „ბაიერნი“ კი გამოცოცხლების გზაზეა...

**ლადო ხომერიკი**

## ფაბიო კაპელო

**— დიარა-გაგო-ემერსონის სამეული პირველად დააყენეთ. რატომ გადაწყვიტეთ ასე?**

— ვფიქრობდი, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. თუმცა, როცა 11 წამში გოლს შეგიგდებენ, ყველანაირი გეგმა წყალში იყრება. ვფიქრობდი, რომ კონტრშეტევებზე უნდა გვეთამაშა და მეტოქე სწრაფი იერიშებით გაგვეკვირვებინა. მაკაის გოლის შემდეგ კი მატჩი შეიცვალა. ეს დაუჯერებელი გოლი იყო...

**— „რეალს“ ამ გოლზე პასუხის გაცემა ძალიან გაუჭირდა...**

— შევეცადეთ, რეაქცია სწრაფად მოგვეხდინა. უამრავი სახიფათო ეპიზოდი შევქმენით, თუმცა რაულმა და ვან ნისტელროიმ გატანა ვერ მოახერხეს. ნებისმიერ შემთხვევაში, გუნდმა კარგად ითამაშა და გამარჯვებისთვის ყველაფერი გააკეთა. ჩვენ მეოთხედფინალში გასვლას ვიმსახურებდით. გერმანელებზე მეტი საგოლე ეპიზოდი გვქონდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ის იგებს, ვისაც მეტი გააქვს და არა ის, ვინც მარტო სახიფათო მომენტებს ქმნის.

**— მგონი, იკერ კასილიასმაც ბევრჯერ გადაგარჩინათ...**

— საგოლე მომენტები „ბაიერნსაც“ ჰქონდა. ოტმარ ჰიცფელდს დიდი გუნდი ჰყავს. ჩვენ კი, სამწუხაროდ, ორი საჩუქარი გავეცით — პირველი „ბერნაბეუზე“ ვან ბომელმა გამოიყენა, ხოლო მეორე „ალიანს არენაზე“ მაკაიმ. ეს ყველაფერი 180 წუთისთვის მეტისმეტია.

**— თუ გეგმა მატჩის 11 წამში ჩაგეშალათ, გუტი მოედანზე დაუყოვნებლივ რატომ არ გამოიყვანეთ?**

— კიდევ ბევრი გვქონდა სათამაშო და ფრეც გვაძლევდა ხელს. გუტი მერე გამოვიყვანე და თამაშიც გამოვასწორეთ.

**— რომელიმე თქვენი შეგირდის თამაშით უკმაყოფილო ხართ?**

— მიუნხენში სერიოზული შეცდომები გვქონდა, მაგრამ მეოთხედფინალის ბედი ძირითადად პირველ თამაშში ჩავარდნამ გადაწყვიტა.

**— შეგიძლიათ თქვათ, რომ ფიასკო განიცადეთ?**

— სიტყვა „ფიასკოს“ უარყოფა გამიჭირდება. ისე კი, ბედს რომ არ გავეწირეთ, შესანიშნავი იქნებოდა, თუმცა ამით თავის გამართლება არ მსურს.

**— „ბარსელონასთან“ „რეალის“ მწვრთნელი კვლავ თქვენ იქნებით?**

— მე კლუბის გადაწყვეტილებას ველოდები. მწვრთნელი იმას აკეთებს, რასაც უფროსობა გადაწყვეტს. ჯერ პრეზიდენტთან არ მისაუბრია. ისე კი, მინდა გითხრათ, რომ მომავალზე არ ვდარდობ.

**— რა არის თქვენი ახალი მიზანი?**

— პრიმერადივიზიონის მოგება.





## ოტმარ ჰიცფელდი

**— რას გვეტყოდით „რეალთან“ მატჩზე?**

— პირველი ნახევარი საათი ძალიან კარგად ვითამაშეთ. მეტოქეს ვაჯობეთ, თუმცა ბოლო 15 წუთში „რეალი“ გამოფხიზლდა და სახიფათოდ ათამაშდა. შესვენების შემდეგ კი მატჩზე კონტროლი დავიბრუნეთ. მსაჯმა ესპანელებს პენალტი აჩუქა, რის გამოც შეხვედრის ბოლოს გაგვიჭირდა.

**— ფიქრობთ, რომ შედეგი სამართლიანი იყო?**

— უფრო დიდი სხვაობით მოგებას ვიმსახურებდით. კარგი იქნებოდა, ტაბლოზე 3:1 ან 4:2 რომ ყოფილიყო.

**— ლუბოშ მიხელმა თამაშის ბოლოს ბაიერნელი ვან ბომელი და რეალელი დიარა გააძევა. არბიტრის გადაწყვეტილებაზე რა აზრის ხართ?**

— ამ მსაჯისთვის დამახასიათებელი, ტიპიური საქციელი იყო. მიხელმა სათანადო ავტორიტეტი ვერ გამოამჟღავნა და მატჩის სადავეები ხელიდან გაექცა. იმ ეპიზოდში, პენალტამდე ვან ბომელი და დიარა ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ, მიხელმა კი ეს წითელ ბარათებად გადააქცია.

**— მადრიდის „რეალის“ დამარცხება ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს გამარჯვება თქვენთვის განსაკუთრებული იყო?**

— რა თქმა უნდა. ყოველთვის მნიშვნელოვანი და განსაკუთრებულია, როცა „რეალს“ ამარცხებ. მადრიდული გრანდი ისევ ექსტრაორდინალურ გუნდად რჩება. „რეალის“ წინააღმდეგ თამაში ნებისმიერ დროს დიდი გამოწვევაა ფეხბურთელთათვის — მათ მთელი თავიანთი პოტენციალის გამოვლენა შეუძლიათ. კმაყოფილი ვარ გამარჯვებით და ჩემი შეგირდების გარჯით.

**— თვლით, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „რეალთან“ ჯახი „ბაიერნისთვის“ ხელსაყრელ დროს გაიმართა?**

— მატჩისთვის დროს ვერასდროს ირჩევ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ „რეალი“ ახლა კრიზისს განიცდის. პრიმერადივიზიონში კარგად ვერ თამაშობს და იმ გოლმაც, მადრიდში რომ გავიტანეთ, მოგებაზე დამატებითი შანსი მოგვცა. მაშინ დავიჯერეთ, რომ მეოთხედფინალში გასვლა შეგვეძლო.

**— როგორ ფიქრობთ, მაინც სადამდე შეუძლია მიუნხენის „ბაიერნს“ ჩემპიონთა ლიგაში დაწინაურება?**

— მეოთხედფინალში გავედით, პრესტიჟიც აღვიდგინეთ და მგონი, ახლა დანარჩენი გუნდები პატივს გვცემენ.

## ჩემპიონთა ლიგა 2006–2007
### მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

# არ გეწყინოთ და, მილანი კაკაა!

*მილანი (იტალია)* 1:0დ.დ. (0:0) სელტიკი (შოტლანდია) (0:0)
1:0 კაკა (93)
მილანი: დიდა, ოდო (შიმიჩი 117), ბონერა, მალდინი, იანკულოვსკი, გატუზო (ბროკი 79), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, ინძაგი (ჯილარდინო 72)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
სელტიკი: ბორუცი, ტელფერი, მაკმანუსი, ოდეა, ნეილორი, ნაკამურა (მილერი 106), ლენონი, ხნო (ბიტი 97), მაკგიდი, იაროშიკი (გრავესენი 62), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: მაკმანუსი, ამბროზინი, ნეილორი, მაკგიდი, ლენონი
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
68 000 მაყურებელი


„მილანის" მხსნელი კაკა
AFP

**სილვიო** ბერლუსკონის მიაჩნია, რომ დარჩენილ რვა გუნდში ყველაზე ძლიერი მისი „მილანია".

„გუნდმა კარგად ითამაშა, მეოთხედფინალში გასვლა დაიმსახურა და შარშანდელივით ჩემპიონთა თასის მოგების შანსი აქვს. მხოლოდ „მილანი" შემორჩა 2006 წლის მეოთხედფინალისტებიდან და თუ გავითვალისწინებთ, რომ „ბარსელონა", „რეალი" და „ინტერი" გავარდნენ, ჩვენი გუნდი ფავორიტია".

„სამწუხაროა, რომ „ინტერი" შეჯიბრებას გამოეთიშა, მაგრამ „რომას" გასვლა გაგვიხარდა, რადგან ევროთასს ორი იტალიური კლუბი მაინც შემორჩა. არ მინდა, რომ „რომას" შევხვდეთ მეოთხედფინალში, რადგან მსურს, რაც შეიძლება, მეტი იტალიური გუნდი ვნახო ნახევარფინალში, სადაც ალბათ გამოცდილება ითამაშებს გადამწყვეტ როლს — განაცხადა ადრიანო გალიანიმ — მაგალითად შემიძლია, „ლივერპული" მოვიყვანო, რომელიც პრემიერლიგაში დიდად ვერ ბრწყინავს, მაგრამ ისეთი ისტორია უმაგრებს ზურგს, რომ ჩემპიონთა ლიგაში ფავორიტად ითვლება".

კარლო ანჩელოტის ხშირად აკრიტიკებდნენ ერთი თავდამსხმელით თამაშის გამო და „სელტიკთანაც" მხოლოდ ფილიპო ინძაგი ჰყავდა მოედანზე, მაგრამ გალიანიმ მწვრთნელს უქექილა: „ანჩელოტიმ სწორად გადაწყვიტა, რადგან ცენტრში უპირატესობის მოსაპოვებლად მეტი ნახევარმცველი გვჭირდებოდა და მეორე ფორვარდს მასიმო ამბროზინის თამაში ამჯობინა. ამბროზინი განსაკუთრებული და გამორჩეულია სხვა ნახევარმცველებისგან, ამდენად ძალიან მნიშვნელოვანია „მილანისთვის".

კარლო ანჩელოტიმ კი თქვა, რომ ერთი წამითაც არ დაეჭვებულა „მილანის" გამარჯვებაში: „არავისი გვეშინია. ბოლო ხუთი წელია, მეოთხედფინალში გავდივართ და ბერლუსკონისგან კომპლიმენტებიც მივიღეთ. მისი სათამაშო ფილოსოფია ცნობილია — შეტევა მთელი თამაშის განმავლობაში, რაც „სელტიკთან" შევასრულეთ კიდეც და მიუხედავად იმისა, რომ დამატებითი დრო დაგვჭირდა, დარწმუნებული ვიყავი, გოლს გავიტანდით. ნახევარდაცვამ საუცხოოდ ითამაშა და ამბროზინი დიდებული იყო. ძირითადი დროის ბოლო ხუთ-ექვს წუთში გავრისკეთ და დიდი ძალებით შევუტიეთ, რამაც „სელტიკს" მეტი სივრცე მისცა, მაგრამ როცა კაკასნაირი ფეხბურთელი გყავს გუნდში, იცი, რომ ადრე თუ გვიან მაინც გაიტანს. რომ ვთქვა, „მილანის" წარმატება კაკაზეა დამოკიდებული-მეთქი, ალბათ არავის ეწყინება".

რაც შეეხება სავარაუდო მეტოქეებს, ანჩელოტი არ ირჩევს: „წლეულს ცოტა უცნაური ლიგაა. „რეალი", „არსენალი", „ბარსელონა" და „ინტერი" გავარდნენ, მაგრამ „ლივერპული" და „ჩელსი" არიან კარგ ფორმაში. ჩვენთვის სულ ერთია, ვინ შეგვხვდება, რადგან მათ უნდა ეშინოდეთ „მილანის".

**ვაჟა ხუციშვილი**

# წაგება, წაგება, წაგება

არსენალი 1:1 *პსვ* (0:1)
1:0 ალექსი (58ს.კ.), 1:1 ალექსი (83)
არსენალი: ლემანი, ტურე, ჟილბერტო სილვა, გალასი, კლიში (ულკოტი 85), გლები, ფაბრეგასი, დენილსონი, ლიუნგბერგი (დიაბი 76), ადებაიორი, ბაპტისტა (ანრი 66)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
პსვ ეინდჰოვენი: გომესი, ფეპერი, ალექსი, სალსიდო, სუნი, კულინა, სიმონსი, კოკუ, მენდესი (ვაირინენი 90), ფარფანი (ადო 89), ა. კონე (აფელაი 41)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: ფეპერი, ფაბრეგასი
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
60 073 მაყურებელი

**არსენ ვენგერს** „პსვ ეინდჰოვენის" ბრაზილიელმა ალექსმა 11-დღიან სათასო კოშმარზე ბოლო ბეჭედი დაურტყა. მოკლედ, ლონდონელ მეთოფეთა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდან გავარდნა საშინელებათა ციკლის მესამე პუნქტი გამოდგა. პირველი იყო „კარლინგის თასის" ფინალი, რომელიც „არსენალმა" „ჩელსისთან" წააგო, მეორე კი „ბლექბერნთან" ფეხბურთის ასოციაციის თასზე ნაწვნევი მარცხი.

არსენ ვენგერი: „ბოლო ორი კვირა მართლაც რაღაც საშინელი გამოდგა. „კარლინგის თასზე" კარგად ვითამაშეთ და დავმარცხდით, მერე „ბლექბერნთან" წავაგეთ ასოციაციის თასზე და ახლა ეს, მესამე, რომელთან შედარებითაც პირველი და მეორე წვრილმანები იყო და მეტი არაფერი. ასე სასტიკად ბედი არ მოგვქცევია. დღევანდელი საღამო თითოეული ჩვენთაგანისთვის დიდი იმედგაცრუებისა გახლდათ, თუმცა ალექსი აუცილებლად უნდა შევაქო. ის „პსვ ეინდჰოვენის" შემადგენლობაში გამორჩეული იყო. ეს ბრაზილიელი ჰაერშიც ბატონობდა და მოედნის ორივე ბოლოში ყველას სჯობდა".

და თითქოს ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა არ ეყოფოდაო, ვენგერმა ეინდჰოვენელებთან მატჩის შემდეგ შეიტყო, რომ მისმა მთავარმა ვარსკვლავმა ტიერი ანრიმ, შესაძლოა, სეზონის ბოლომდე მინდორზე ფეხი ველარ შედგას.

„ტიერი დაშავდა და რამდენიმე კვირის განმავლობაში ნამდვილად დასჭირდება მკურნალობა. მიმდინარე სეზონი მისთვის მართლაც ურთულესი გამოდგა" — თქვა ვენგერმა.

პრემიერლიგის ცხრილს თუ გავიხსენებთ, აშკარად დავინახავთ, რომ ამ სეზონში „არსენალისთვის" ჩემპიონობა უკვე საფუძველგამოცლილი ოცნების სფეროს განეკუთვნება. ლონდონელები მეოთხეზე არიან და მაქსიმუმ მესამეობა მოახერხონ.

„პსვ ეინდჰოვენის" მწვრთნელი რონალდ კუმანი კი (მისმა გოლმა ოდესღაც გრემ ტეილორს ინგლისის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობა დაატოვებინა) ინგლისური გუნდების დაწიოკებას განაგრძობს. რას იზამ, როდესაც კაცს ეს საქმე ეხერხება...

„ვერ გეტყვით, რა ხდება ჩემსა და ინგლისს შორის. დღევანდელ „არსენალამდე" „მანჩესტერ იუნაიტედი", „ლივერპული" და ერთი ხნის წინანდელი „არსენალი" დავამარცხე. და იქნებ, ის დროა, თავად ამ ქვეყანაში ვიმოვო სამუშაო. აქაური ხალხი ძალიან მიყვარს და ინგლისში თავს ყოველთვის ჩინებულად ვგრძნობ" — განაცხადა კუმანმა.

**ბაჩუნა ძედია**

# ფერგიუსონი: მანჩესტერს ნუ შეადარებთ მანჩესტერს!

*მანჩესტერი (ინგლისი)* 1:0 ლილი (საფრანგეთი) (1:0)
1:0 ლარსონი (72)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, სილვესტრი, კარიკი, სქოულზი, ოში, რონალდუ (პარკი 82), რუნი (რიჩარდსონი 82), ლარსონი (სმიტი 75)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ლილი: ტ. სილვა, შალმე, ტავლარიდისი, პლესტანი, ტაფორო, მაკუნი, დიუმონი (მირალასი 74), კეიტა, ობრანიაკი, ბასტოსი (დებუში 46), ოდემვინგი (ფოვერგი 74)
მწვრთნელი: კლოდ პუელი
გაფრთხილება: მაკუნი, შალმე, რონალდუ, ტაფორო, პლესტანი, რიჩარდსონი
მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)
75 182 მაყურებელი

**ალექს ფერგიუსონის** აზრით, არ შეიძლება 1999 წლის და ამ სეზონის „მანჩესტერის" შედარება, მიუხედავად იმისა, რომ რვა წლის წინანდელი ამბები მეორდება — „მანჩესტერმა" მერვედფინალში დაამარცხა „ლილი" და ჯავრი იყარა ფრანგებზე, რომლებმაც შარშან პრემიერლიგელები ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ჩატოვეს და თავადაც ჩარჩნენ.

ბოლო ოთხ სეზონში პირველად უწია მეოთხედფინალს ფერგიუსონის გუნდმა.

რაკი „მანჩესტერი" პრემიერლიგაში ლიდერობს, ასოციაციის თასის მეოთხედფინალში ხვალ „მიდლსბროს" ხვდება და ჩემპიონთა ლიგაშიც წინ გადადგა ნაბიჯი, ინგლისში ამბავი ატყდა — 1999 წელი მეორდებაო. მაშინ „მანჩესტერი" გახდა პირველი ინგლისური კლუბი, რომელმაც ერთ სეზონში მოიგო პრემიერლიგა, ასოციაციის თასი და ჩემპიონთა თასი.

ფერგიუსონმა „ლილთან" მატჩის შემდეგ თქვა, რომ ტრავმების მიუხედავად, მის გუნდს შესწევს ჩემპიონთა თასის მოგების ძალა, მაგრამ 1999 წლის „მანჩესტერთან" ამჟამინდელის შედარება არ შეიძლება: „ის იყო სულ სხვა, გაცილებით შეთამაშებული და ძლიერი, უფრო დაბალანსებული გუნდი. ახლაც ვფიქრობ, რომ სამივე ჯილდოს მოგების შანსი გვაქვს, ოღონდ ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია".

„ლილთან" კი გოლი ჰენრიკ ლარსონმა გაიტანა და „იუნაიტედს" ასე დაემშვიდობა. „ჰელსინგბორგიდან" მისი გაქირავების ვადა ამოიწურა და შვედეთში ბრუნდება.

ეს იყო 47-ე გოლი 93-ე ევრომატჩში ფორვარდისთვის, რომელსაც „ფეიენოორდში", „სელტიკში" და „ბარსელონაში" უთამაშია, თუმც გამორიცხული არაა, ხვალ ასოციაციის თასზეც ითამაშოს, მერე კი, ორშაბათს საქველმოქმედო შეხვედრაში, რომელიც „ოლდ ტრაფორდზე" გაიმართება და „მანჩესტერი" ევროპის ნაკრებს უმასპინძლებს.

ჰენრიკ ლარსონი „ლილის" კარში გატანილი გოლიდან სამ წუთში შეცვალეს და მთელი სტადიონი ფეხზე დაუდგა — ტაშით გააცილეს.

ლუი საა და ოლე გუნარ სოლსკიაერი ტრავმირებულნი არიან. უეინ რუნიც ვერაა ფორმაში, მაგრამ ფერგიუსონმა განაცხადა, რომ ვერ შეძლებს ჰენრიკ ლარსონის შენარჩუნებას: „ჩვენ ასე ვიყავით შეთანხმებულები „ჰელსინგბორგთან" და თვითონ ფეხბურთელსაც სურდა სამშობლოში, ოჯახთან დაბრუნება".

„დიდებული იყო „მანჩესტერში" თამაში, თუმც აპრილში „ჰელსინგბორგის" შეკრება იწყება და იქ უნდა ვიყო" — თქვა შვედმა.

„ლილთან" გამარჯვებამ „მანჩესტერის" კიდევ ერთი ფეხბურთელი „შეიწირა" — მიკაელ სილვესტრი. მან მხარი იღრძო და, შესაძლოა, სეზონი ნაადრევად დაასრულოს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# საძაგელი დღე

## ალო, ნიკოლას, დავიდი ვარ, ნავარო... ბო-დი-ში!



**დავიდ ნავარომ** ნიკოლას ბურდისოს ახლა უკვე პირადად, სატელეფონო საუბრისას მოუხადა ბოდიში.

შეგახსენებთ, რომ „ვალენსიას“ მცველმა „ინტერის“ ფეხბურთელს პატიება „მესტალიაზე“ გამართული სამარცხვინო ჩხუბის მეორე დღესვე სთხოვა, ოღონდ ეს მიმართვა „კადენა სერიას“ ეთერში გაკეთდა. მაშინ ვალენსიელმა თქვა, რომ „ლამურათა“ სპორტულ დირექტორ ამადეო კარბონის ბურდისოსთან პირადად დაკავშირებას სთხოვდა. ხუმრობა საქმე ხომ არაა, ნავარომ უკნიდან მიპარვით ცხვირი გაუტეხა არგენტინელს...

და აი, შერიგება შედგა.

„მე მას დავურეკე და მომხდარის გამო ბოდიში მოვუხადე. ვუთხარი, რომ ძალიან ვწუხვარ და ასეთი რამეები აღარ უნდა მოხდეს. ბურდისამ ჩემი ბოდიში მიიღო და მითხრა, რომ ყველაფერი კარგადაა. არგენტინელმა დამამშვიდა, აღარ ინერვიულოო“ — განაცხადა ნავარომ.

საინტერესოა, რომ დავიდ ნავარო აქამდე ხულიგნის რეპუტაციით არ სარგებლობდა. ჩხუბს ვინ ჩივის, სათამაშო, ჩვეულებრივი ეპიზოდებისას ყვითელი ბარათები იშვიათად მიუღია. მაგრამ სამშაბათს კი მზაკვრულად მოიქნია მუშტი და საწყალ ბურდისოს ცხვირიდან სისხლი ადინა...

**ლადო ხომერიკი**

## უმცროსი ნავაროს ლაჩრულმა მუშტებმა უფროსი ნავარო სიკვდილის პირას მიიყვანა

ნავარომ ბოდიში კი მოიხადა, თუმცა ისიც კარგად იცის, რომ უეფასგან მკაცრი სანქცია არ ასცდება. როგორც ვარაუდობენ, დავიდ ნავარო ნიკოლას ბურდისოს გატეხილი ცხვირისთვის რვამატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისჯება. ხულიგან ვალენსიელს ესპანური „ასი“ ესაუბრა...



— თავს როგორ გრძნობთ?

— უპირველეს ყოვლისა, მინდა, კიდევ ერთხელ, სახალხოდ მოვიხადო ბოდიში. ის, რაც „ინტერთან“ მოხდა, ფეხბურთის, გულშემატკივრების, კლუბის მიმართ უპატივცემულობა იყო და დაზარალებულ მოთამაშეს პატიებას ვთხოვ. აგრესიული ფეხბურთელი არასოდეს ვყოფილვარ. ჩემთვის ეს ძალიან ცუდი დღე იყო. უკეთესი იქნებოდა, ამ სავალალო ფაქტის ნაცვლად „ვალენსიას“ მეოთხედფინალში გასვლაზე და უშუალოდ „ინტერთან“ მატჩის დეტალებზე გვესაუბრა. თავს საძაგლად ვგრძნობ, მთელი ჩემი ოჯახი დეპრესიაშია და ვცდილობ, „ინტერთან“ ჩხუბი მალე მიეცეს დავიწყებას.

— ის მომენტები ტელევიზიით თუ ნახეთ?

— არა და არც ვაპირებ. მამაჩემი „მესტალიაზე“ არეულობის ნახვის შემდეგ ცუდად გამხდარა, მთელი ღამე მის საწოლთან ვიჯექი და ვამშვიდებდი... თვალზე ცრემლი მომადგა, საკუთარი თავი გავლანძღე და ფიცი დავდე, რომ ოჯახის წევრებს ასეთ მდგომარეობაში აღარასოდეს ჩავაგდებდი. მეც ცუდად ვიყავი, მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს.

— კი მაგრამ, იმ აგრესიამდე რამ მიგიყვანათ? სანამ ბურდისოს დაეტაკებოდით, რა იფიქრეთ?

— მატჩი ძალიან დაძაბულად წარიმართა. ბოლო 10 წუთი საშინლად ვინერვიულე და ლუდოვიკ ბუტელესაც ვუთხარი, ახლა რაღაც მოხდება-მეთქი. საფინალო სასტვენის შემდეგ სათადარიგოთა სკამიდან მოედნისკენ გავცვივდით, რათა ინჩასებისთვის გამარჯვება მიგველოცა. სწორედ მაშინ დავინახე მარჩენას რომ ეჩხუბებოდნენ და ნერვებმა ერთიანად ამიტანა. მერე რამდენჯერმე მეც მწარედ მომარტყეს, თუმცა მათი რეაქცია სამართლიანი იყო.

— ბურდისო კი მძიმე დღეში ჩააგდეთ...

— ბურდისოს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ჩხუბის მერე მასთან მისვლა და სიტუაციის ჩაწყნარება მინდოდა. ისიც კი ვიფიქრე, იტალიაში ჩავალ და ბოდიშს მოვუხდი-მეთქი.

— მას უკვე ესაუბრეთ?

— დიახ. ტელეფონით ვესაუბრე და პატიება ვთხოვე. მან ჩემი ბოდიში მიიღო და მითხრა, ნუ წუხდები, ყველაფერი კარგად იქნებაო.

— უეფასგან მკაცრი სანქციები გელით...

— ალბათ ლოგიკური იქნება, უეფა თუ დამაჯარიმებს. ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყო.

— „ვალენსიას“ უფროსობა რას აპირებს?

— არ ვიცი... მწვრთნელ კიკე სანჩეს ფლორესს ველაპარაკე და მითხრა, ნერვებმა შეიძლება ყველა დაალალატოსო. ბოდიშის მოსახდელად პრეზიდენტსაც დავურეკე.

## ვინ არის მსხვერპლი და ვინ იდიოტი

**უეფამ** მსაჯ ვოლფგანგ შტარკისა და დელეგატების ოქმებზე, ფოტოებსა და ვიდეოჩანაწერებზე დაყრდნობით, „ვალენსია“ — „ინტერის“ მატჩში მომხდარი ჩხუბის დეტალების გამოძიება დაიწყო.

განაჩენი 14 ან 22 მარტს საგანგებო სხდომაზე გახდება ცნობილი.

დაისჯებიან თუ არა კლუბები, ჯერ უცნობია. გავრცელებული ცნობით, ჩხუბის გამამწვავებელ დავიდ ნავაროს რვამატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის, ხოლო მისი თანაგუნდელი კარლოს მარჩენა, ინტერელები — ნიკოლას ბურდისო, ივან კორდობა და დუგლას მაიკონი ორიდან ოთხ მატჩამდე დისკვალიფიკაციას მიიღებენ.

„ნავარომ უკნიდან მოპარვით დამარტყა, ასეთ რამეს ნამდვილად არ ველოდი. კაცი ამგვარად არ მოიქცევა. სამწუხაროდ, ფეხბურთში ჩხუბი ხშირად ხდება, მაგრამ ყველაზე მეტად გული იმაზე მწყდება, რომ ჩემპიონთა ლიგას გამოვეთიშეთ. მიუხედავად ამისა, დავამტკიცეთ, რომ დიდი გუნდი გვყავს“ — თქვა ბურდისომ.

„გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ „მესტალიაზე“ მომხდარი აურზაურის მსხვერპლნი ვართ. ამას ვერასოდეს დავივიწყებთ და შევეგუებით. ყველაფერი ნიკოლას ბურდისოზე ფიზიკურმა ძალადობამ გაამწვავა. არგენტინელს ჯერ პროვოკაცია მოუწყვეს და წყობიდან გამოიყვანეს, მერე კი დავიდ ნავარომ სრულიად უმიზეზოდ, მიპარვით სახეში ჩაარტყა ხელი, ცხვირი გაუტეხა და ვითარება გაამწვავა. სახსენებელია ატმოსფეროც, როგორც სტადიონზე, ასევე მის გარეთ. „ვალენსიას“ ქომაგებს ტრანსპარანტი ჰქონდათ გამოფენილი, რომელზეც „ვენდეტა“ ეწერა. ეს ფეირ პლეის ყველანაირად ეწინააღმდეგება. „ინტერის“ წარმომადგენლები და რამდენიმე ფეხბურთელი ბოლო მომენტამდე მოჩხუბრებს აშველებდნენ. სიტუაცია ჩვენ არც ერთ მომენტში არ გაგვიმწვავებია. როგორც კლუბის პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ განაცხადა, „ინტერი“ არაფრის გასაჩივრებას არ აპირებს. უბრალოდ, იმედი გვაქვს, უეფა ყველაფერს კარგად გაანალიზებს და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს. ვიმეორებთ, რომ ჩვენ ამ ინციდენტის მსხვერპლნი ვართ, ხოლო ბურდისოს მიმართ გამოვლენილი აგრესია ყველა წესს ეწინააღმდეგება“ — ნათქვამია „ნეროაძურის“ ოფიციალურ განცხადებაში.

„ინტერის“ მეკარე ფრანჩესკო ტოლდო ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო ჩხუბში. თავიდან იგი ბურდისოს დაწყნარებას ცდილობდა, მერე კი პირველი გახლდათ, ვინც გასახდელში შევარდნილ ნავაროს მიჰყვა და...

ტოლდომ ერთ-ერთ იტალიურ რადიოსთან საუბარში თქვა, რაც მოხდა მინდორზე და მოგვიანებით გასახდელში...

„მარჩენა ბურდისოს დასცინოდა. მისდა სამწუხაროდ, გუნდში 15 ესპანურად მოლაპარაკე ფეხბურთელი გვყავს, მათ შორის, ნიკოლასიც. იგი ემოციური ადამიანია და ლოგიკურია, რომ ირონია ვერ აიტანა. თუმცა ვითარება უკვე თითქმის განმუხტული იყო, ბურდისოზე ხელი მქონდა გადახვეული და ვაწყნარებდი, როცა ვიღაც იდიოტი, სახელად, დავიდ ნავარო უკნიდან მოგვეპარა და ბურდისოს ჩაარტყა, ცხვირი გაუტეხა და მხდალივით გაიქცა. ივან კორდობამ და რამდენიმე ფეხბურთელმა მისი შეჩერება სცადეს, მაგრამ ვერ შეძლეს. იგი გასახდელში დაიმალა, სადაც ნავაროზე ნადირობა გაგრძელდა. იქ პირველი მე შევედი, პოლიცია დამხვდა და, საერთოდ, ისეთი მოძრაობა იყო, მილანში პიკის საათის დროსაც არ არის ხოლმე. სახეში არავის ვუყურებდი და არც არავის უცდია ჩემი შეჩერება. ხოლო როცა „ვალენსიას“ გასახდელამდე ათი ნაბიჯიღა მრჩებოდა, წინ პოლიცია გადამიდგა. იქიდან ველარსად დავიძარი. სიბნელეში აღმოჩნდი და აღარც ვიცოდი, ვის ვეძებდი. მერე ვითარება ნელ-ნელა განიმუხტა“.

მოკლედ, წინ ჯერ კიდევ დიდი ამბები გველის...



**გიორგი ძაძამიძე**

# ყველაზე სწრაფები ლიგაში

## იქ, სადაც ქართველიც თამაშობს




**მიუნხენის** „ბაიერნის“ ჰოლანდიელმა ფორვარდმა როი მაკაიმ მადრიდის „რეალს“ მე-11 წამზე გაუტანა და ჩემპიონთა ლიგის უსწრაფესი გოლის ავტორი გახდა. მან არსენალელი ჟილბერტო სილვას რეკორდი მოხსნა, რომელსაც პსვ-ს კარში ბურთის შესაგდებად 20,07 წამი დასჭირდა...

| | | |
|---|---|---|
| 1. როი მაკაი | ბაიერნი — რეალი | 11,00 (07.03.2007) |
| 2. ჟილბერტო სილვა | პსვ — არსენალი | 20,07 (25.09.2002) |
| 3. ალესანდრო დელ პიერო | იუვენტუსი — მანჩესტერი | 20,12 (01.10.1997) |
| 4. მარიანო ბომბარდო | ტილბურგი — სპარტა | 28,21 (20.10.1999) |
| 5. ალექსანდროს ალექსიდისი | პანათინაიკოსი — ოლბორგი | 24,46 (22.11.1995) |
| 6. დეკუ | პორტუ — მიოლდე | 30,08 (26.10.1999) |
| 7. ანდრეას მიოლერი | დორტმუნდი — იუვენტუსი | 37,04 (13.09.1995) |
| 8. ვრასტისლავ ლოკვენცი | სპარტა — სპარტაკი | 42,58 (03.11.1999) |
| 9. პაველ ნედველი | ლაციო — ლევერკუზენი | 43,25 (27.10.1999) |
| 10. კახა კალაძე | დინამო (კ) — ანდერლეხტი | 44,00 (18.10.2000) |

# ბილდმა მეცელდერი რეალში გადაიყვანა



**გერმანული** „ბილდის“ ცნობით, „დორტმუნდის“ მცველი კრისტოფ მეცელდერი სეზონის ბოლოს მადრიდის „რეალში“ გადავა და ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. 26 წლის მეცელდერი სამშაბათს მადრიდში ყოფილა, სამედიცინო შემოწმება გაუვლია და პირად კონტრაქტზეც შეთანხმებულა — იგი წელიწადში ოთხ მილიონ ევროს მიიღებს.

უცნობია, რამდენი გადაუხადა „რეალმა“ „დორტმუნდს“.

კრისტოფ მეცელდერით, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 28-ჯერ უთამაშია, მილანის „ინტერიც“ იყო დაინტერესებული.

ახლა „დორტმუნდი“ მეცელდერის შემცვლელს ეძებს. „შავ-ყვითლებმა“ კიოლნელ ლუკაშ სინკევიჩს დაადგეს თვალი. „ბილდის“ ცნობით, „დორტმუნდი“ ადრე „არმინიას“ მცველ ჰაიკო ვესტერმანზე ფიქრობდა, მაგრამ იგი ბოლო ხანებში ცუდად თამაშობს და ამიტომაც მიადგნენ 21 წლის სინკევიჩს. მისი ფასი დაახლოებით 2 მილიონი ევროა.

ამასობაში კი გაირკვა, რომ დორტმუნდელებმა მეორე ბუნდესლიგის მთავარმეგოლე, „კარლსრუეს“ ფორვარდი ჯოვანი ფედერიკო მომავალი სეზონისთვის დაიბევეს. ფედერიკოს კლუბთან კონტრაქტი ივნისში ეწურება და „დორტმუნდს“ უფასოდ ჩაუვარდა ხელში.

„ჩემი ბავშვობის ოცნება ახდა — თქვა ფეხბურთელმა — მოუთმენლად ველი დებიუტს „შავ-ყვითელი“ მაისურით“.

26 წლის მეგოლემ ამ სეზონში 13 გაიტანა, „დორტმუნდმა“ კი მასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რონალდუ რჩება და ესპანეთს ახსენებს

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** პორტუგალიელმა ვარსკვლავმა კრიშტიანუ რონალდუმ განაცხადა, რომ ჯერჯერობით გუნდის გამოცვლას არ აპირებს.

„თუ „მანჩესტერს“ ახალ კონტრაქტზე შევუთანხმდები, მაშინ დავრჩები“ — თქვა რონალდუმ და იქვე დასძინა, ძალიან მინდა, ერთ მშვენიერ დღეს ესპანეთში ვითამაშოო.

რა შეხსენება გინდათ, რომ პორტუგალიელ ნახევარმცველს „ბარსელონა“ და „რეალი“ ეპატიჟებიან, თუმც ბოლო ხანს გავრცელებული ცნობებით, კრიშტიანუს უფრო მადრიდი ხიბლავს.

რონალდუ „მანჩესტერისგან“ საარაკო ხელფასს, წელიწადში 8,3 მილიონ გირვანქას ითხოვს და ვნახოთ...

**ქახა ზალამბერიძე**

# გუნდის ახალი შოლტი



**კიდევ** ერთი ბომბი აფეთქდა „ბარსელონას“ გასახდელში. ჯერ სამუელ ეტოოს ხმაურიანი ჯანყი იყო, მერე ჩემპიონთა ლიგიდან კატალონიური გრანდის გავარდნა და ახლა კი „ბარსას“ წყლულზე ფეხი ექსჩელსელმა ეიდურ გუდიონსენმა დააჭირა.

„გუდიმ“ თავის გუნდს საბრძოლო განწყობის არქონა უსაყვედურა — გუდიონსენს კონკრეტული სახელები არ უთქვამს, მის წნეხში მთელი „ბარსელონა“ მოხვდა.

„ბრძოლისუნარიანობა და თავგანწირვა გვაკლია. ყველამ იცის, რომ „ბარსელონას“ ბრწყინვალე შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ გუნდური სულისკვეთების ჩამოყალიბებისთვის მეტი შრომაა საჭირო — განაცხადა ჩრდილოელმა — როცა დაბალი დონის მეტოქეს ვხვდებით, თავის გაგიჟება და მოედანზე ძლების დატოვება საჭირო არ არის — სუსტებს კლასის ხარჯზეც იოლად ვუგებთ ხოლმე. სხვა საქმეა, როცა ბრძოლა შედარებით ძლიერ მეტოქესთან გვიწევს, მაშინვე ნათლად ჩანს, „ბარსა“ ერთ მუშტად შეკრული რომ არ არის“.

რა არის ეს, მორიგი ჯანყი თუ სამართლიანი კრიტიკა?

ეს ალბათ მალე გამოჩნდება...

**ლადო ხომერიკი**

# მილანის უძვირესი სიტყვა: 75 მილიონი რონალდინიოში!



**რონალდინიოს** ძმა და აგენტი რობერტო დე ასისი ამ უქმეებზე მილანურ დერბის დაესწრება — იტალიური „ტუტოსპორტის“ ცნობით, ბარსელონელის ძმა „მილანის“ შეფებს შეხვდება და კიდევ ერთხელ ისაუბრებენ რონალდინიოს ტრანსფერზე.

„ტუტოსპორტის“ სენსაციური ვერსიით, „შავ-წითლები“ „ბარსას“ 75 მილიონ ევროს შესთავაზებენ, კატალონიელები კი 105-ს ითხოვენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

## მარადონას შარიანი ფული

**დიეგო მარადონამ** თავი შარში გაყო. არგენტინის ცენტრალური ბანკის ოფიციალური განცხადებით, საგადასახადო ინსპექციამ მარადონას საბანკო ანგარიშებზე ინფორმაციის შეგროვება მოითხოვა, რადგან საქმე ფინანსურ მაქინაციებს ეხება.

ექმიტანილს და მის ადვოკატს ჯერჯერობით არაფერი უთქვამთ.

## ოპერაცია კივუს ცხვირს

**„რომას“** მცველ კრისტიან კივუს გატეხილ ცხვირზე ოპერაცია გაუკეთეს. „ლიონი“ — „რომას“ მატჩის მეორე ტაიმში მასპინძელმა ფრედმა რუმინელს ცხვირში ხელუკულმა შემოარტყა და კივუს სისხლი წასკდა, რაც მსაჯმა ვერ შეამჩნია.

უცნობია, რამდენ ხანს მოუწევს დასვენება ცხვირგატეხილს.

## ჰანსონის პირადი შეთანხმებულა

**ბერგამოს** „ატალანტა“ შვედი მცველის პეტერ ჰანსონის გადაბირებას აპირებს. შვედეთის ნაკრების წევრი ამჟამად „ჰერენვენშია“, რომელთან კონტრაქტი ეწურება და იტალიურ კლუბში სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავა.

ჰანსონი უკვე ჩავიდა ბერგამოში პირადი კონტრაქტის პირობების შესათანხმებლად. იგი, სავარაუდოდ, სამწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს.

## ორი დაჭრილი ღამურა

**„ინტერთან“** მატჩში „ვალენსიას“ ორი ფეხბურთელი დაუშავდა. ნახევარმცველ რუბენ ბარახას ბარძაყის კუნთი დაეჭიმა, ხოლო ვისენტე როდრიგესს მუხლის მყესი დაუზიანდა.

ბარახა, სულ მცირე, ერთი თვე დააკლდება გუნდს, ხოლო ვისენტეს ამბავი ჯერ გასარკვევია.

## პლატინი ხულიგნების წინააღმდეგ

**უეფას** პრეზიდენტ მიშელ პლატინის აზრით, საჭიროა, შეიქმნას სპორტული პოლიცია, რომელიც სტადიონებზე წესრიგს დაამყარებს, იმავდროულად კი კორუფციას და შავი ფულის გათეთრებას შეებრძოლება.

„ამჟამად მსოფლიოში ძალადობის გამოვლინება ყოველდღიურად ხდება და ეს სპორტსაც ეხება — თქვა პლატინიმ — ფაქტია, ვერ ვუმკლავდებით კრიმინალებს და საამისოდ ახალი სამსახურის შექმნა გვჭირდება. ჩვენ გვსურს, გადავუკეტოთ გზები ხულიგნებს, რომლებიც თავისუფლად დასეირნობენ სტადიონიდან სტადიონზე. აუცილებლად უნდა შევქმნათ საერთაშორისო პოლიციის ცენტრი და კრიმინალები მოვაშოროთ ტრიბუნებს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

Copa Toyota Libertadores '2007

## ლიბერტადორესის თასი 2007

I ჯგუფი. III ტური

**ამერიკა (მექსიკა) 4:0 ბანფილდი (არგენტინა)**
1:0 როხასი (20), 2:0, 3:0 ს. კაბანასი (22, 47), 4:0 მოსკედა (52)

III ჯგუფი. II ტური

**დეპორტეს ტოლიმა (კოლუმბია) 1:0 სერო პორტენო (პარაგვაი)**
1:0 კინტერო (63)

VI ჯგუფი. II ტური

**ლიგა დე კიტო (ეკვადორი) 3:1 კოლო კოლო (ჩილე)**
0:1 ჰ. სუაზო (31), 1:1 სანსინო (46), 2:1 ნარვაესი (79პ), 3:1 ხ. მენდესი (85)

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 5 | ბირმინგემი-დერბი | 2.05 | 3.20 | 3.45 | 1.24 | 1.28 | 1.66 |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 7 | კრ. პალასი-ლესტერი | 1.95 | 3.20 | 3.75 | 1.21 | 1.28 | 1.72 |
| 19:00 | 8 | კარდიფი-ნორვიჩი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 19:00 | 9 | კოლჩესტერი-ქოვენთრი | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 19:00 | 10 | ჰალი-პრესტონი | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 19:00 | 11 | იფსვიჩი-საუთენდი | 1.90 | 3.30 | 3.85 | 1.20 | 1.27 | 1.77 |
| 19:00 | 12 | ლიდსი-ლუტონი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 19:00 | 13 | ქპრ-უენსდი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 19:00 | 14 | სტოკი-საუთჰემპტონი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 17:30 | 15 | ბარნსლი-სანდერლენდი | 3.30 | 3.20 | 2.10 | 1.62 | 1.28 | 1.26 |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 16:00 | 16 | ვულვზი-ვესტ ბრომვიჩი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 16:00 | 21 | ჰადერსფილდი-ბრედფორდი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 22 | მილუოლი-კარლაილი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 23 | ნორთჰემპტონი-ბორნმუთი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 24 | როტერჰემი-პორტ ვეილი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 25 | სკანთორპი-ნოტინგემი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 26 | ტრანმერი-სუონსი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 19:00 | 27 | ბლეკპული-ბრაიტონი | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| 19:00 | 28 | ბრისტოლი-ბრენტფორდი | 1.45 | 3.90 | 7.00 | 1.05 | 1.20 | 2.50 |
| 19:00 | 29 | ჩელტენემი-იოვილი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 19:00 | 30 | ჩესტერფილდი-ლეიტონი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 19:00 | 31 | ჯილინგემი-ქრიუ | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 32 | ოლდემი-დონკასტერი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 34 | ჰარტლპული-ლინკოლნი | 1.60 | 3.40 | 5.20 | 1.08 | 1.22 | 2.05 |
| 23:45 | 35 | რექსემი-ბერი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 36 | ჰერეფორდი-გრიმსბი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 37 | მაკლსფილდი-შრიუსბერი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 38 | ნოტსი-მენსფილდი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 19:00 | 39 | პიტერბრო-დონსი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 19:00 | 40 | როჩდეილი-დარლინგტონი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 19:00 | 41 | სუინდონი-აკრინგტონი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 19:00 | 42 | ტორკი-უიკომბი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 19:00 | 43 | უოლსოლი-ჩესტერი | 1.60 | 3.40 | 5.20 | 1.08 | 1.22 | 2.05 |
| 19:00 | 44 | ბარნეტი-სტოკპორტი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 19:00 | 45 | ბოსტონი-როვერსი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 57 | ალდერშოტი-იორკი | 2.30 | 3.30 | 2.70 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 19:00 | 58 | ბარტონი-უოკინგი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 19:00 | 60 | ჰალიფაქსი-ექსეტერი | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 19:00 | 61 | მორიკომბი-ქროული | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| 19:00 | 63 | ოქსფორდი-ფორესტ გრინი | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 19:00 | 64 | სტ.ალბანსი-საუთპორტი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 65 | სტ.რეინჯერსი-ტემუორთი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 19:00 | 67 | ვეიმუთი-ალტრინჰემი | 1.85 | 3.40 | 3.75 | 1.19 | 1.23 | 1.78 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 69 | აბერდინი-ჰართსი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 19:00 | 70 | დანდი იუნ.-მოზერუელი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 19:00 | 71 | დანფერმლაინი-სტ.მირენი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 72 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 19:00 | 73 | კილმარნოკი-ინვერნესი | 1.85 | 3.40 | 3.75 | 1.19 | 1.23 | 1.78 |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 16:30 | 74 | სელტიკი-რეინჯერსი | 1.85 | 3.20 | 3.95 | 1.17 | 1.25 | 1.76 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 75 | ერდრი-ლივინგსტონი | 2.90 | 3.30 | 2.15 | 1.54 | 1.23 | 1.30 |
| 19:00 | 76 | კლაიდი-ჰამილტონი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 19:00 | 78 | ქუინი-როსი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 19:00 | 79 | სტ.ჯონსტონი-პარტიკი | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 77 | დანდი-გრეტნა | 2.80 | 3.30 | 2.20 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 80 | ალოა-მორტონი | 4.35 | 3.50 | 1.65 | 1.93 | 1.19 | 1.12 |
| 19:00 | 81 | ეარი-ფორფარი | 1.75 | 3.50 | 4.00 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| 19:00 | 82 | ბრეჩინი-სტრანრარი | 1.70 | 3.50 | 4.20 | 1.14 | 1.21 | 1.90 |
| 19:00 | 83 | პიტერჰედი-კოუდენბითი | 1.90 | 3.40 | 3.35 | 1.21 | 1.21 | 1.68 |
| 19:00 | 84 | რეითი-სტირლინგი | 2.25 | 3.40 | 2.65 | 1.35 | 1.21 | 1.48 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 85 | ალბიონი-მონტროუზი | 1.85 | 3.50 | 3.50 | 1.21 | 1.21 | 1.75 |
| 19:00 | 86 | არბროთი-დამბარტონი | 1.95 | 3.40 | 3.20 | 1.23 | 1.21 | 1.64 |
| 19:00 | 87 | ბერიკი-ქუინზ პარკი | 1.85 | 3.40 | 3.50 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| 19:00 | 88 | ისტ სტირლინგი-ისტ ფაიფი | 4.30 | 3.60 | 1.65 | 1.95 | 1.19 | 1.13 |
| 19:00 | 89 | ელგინი-სტენჰაუზმუირი | 2.65 | 3.40 | 2.20 | 1.48 | 1.20 | 1.33 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23:30 | 90 | ნიურნბერგი-აინტრახტი | 1.85 | 3.30 | 4.20 | 1.18 | 1.28 | 1.84 |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 18:30 | 91 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 18:30 | 93 | ბოხუმი-დორტმუნდი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 18:30 | 94 | კოტბუსი -ალემანია | 2.15 | 3.20 | 3.15 | 1.28 | 1.27 | 1.58 |
| 18:30 | 95 | ჰანოვერი-შალკე | 2.85 | 3.20 | 2.30 | 1.50 | 1.27 | 1.33 |
| 18:30 | 97 | მაინცი-არმინია | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 18:30 | 98 | გლადბახი-ჰერტა | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 99 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 2.15 | 3.30 | 3.10 | 1.30 | 1.26 | 1.59 |
| 20:00 | 100 | ბაიერნი-ვერდერი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 102 | აუგსბურგი-კობლენცი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 21:00 | 103 | ბრაუნშვაიგი-აუე | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 21:00 | 104 | ბურგჰაუზენი-ფრაიბურგი | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 17:00 | 105 | კარლ ცაისი-კარლსრუე | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 17:00 | 106 | დუისბურგი-ფიურტი | 1.80 | 3.20 | 4.10 | 1.15 | 1.25 | 1.79 |
| 17:00 | 107 | კიოლნი-უნტერჰახინგი | 1.55 | 3.40 | 5.80 | 1.06 | 1.22 | 2.14 |
| 17:00 | 108 | ოფენბახი-ჰანზა | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 17:00 | 109 | პადერბორნი-ესენი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 23:15 | 110 | ლაუტერნი-მიუნხენი 1860 | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 17:00 | 112 | დორტმუნდი(მ)-ალენი | 2.45 | 3.10 | 2.45 | 1.36 | 1.22 | 1.36 |
| 17:00 | 113 | დინამო-ერფურტი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 17:00 | 114 | ლიუბეკი-გლადბახი(მ) | 1.45 | 3.80 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| 17:00 | 115 | მაგდებურგი-დიუსელდორფი | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 17:00 | 116 | უნ ბერლინი-ზტ.პაული | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 17:00 | 117 | ვერდერი(მ)-კილი | 2.10 | 3.10 | 3.00 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 17:00 | 118 | ვილჰელმშავენი-ემდენი | 2.45 | 3.10 | 2.45 | 1.36 | 1.22 | 1.36 |
| 17:00 | 119 | ვუპერტალი-ოსნაბრიუკი | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 17:00 | 120 | ჰერტა(მ)-ჰამბურგი(მ) | 2.70 | 3.10 | 2.25 | 1.44 | 1.22 | 1.30 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 121 | ბაიერნი(მ)-ზიგენი | 2.20 | 3.10 | 2.80 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| 22:00 | 122 | ლაუტერნი(მ)-პეხენი | 2.85 | 3.10 | 2.20 | 1.48 | 1.24 | 1.28 |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 17:30 | 123 | კარლსრუე(მ)-ჰოფენჰაიმი | 3.60 | 3.20 | 1.85 | 1.69 | 1.22 | [illegible] |
| 17:30 | 124 | ფულენდორფი-პირმასენსი | 1.75 | 3.20 | 3.90 | 1.13 | 1.20 | 1.75 |
| 17:30 | 125 | ზაარბრიუკენი-რეუტლინგენი | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 17:30 | 126 | აალენი-ელვერსბერგი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 17:30 | 127 | დარმშტადი-კიკერსი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 17:30 | 128 | ინგოლშტადი-ვეენი | 2.75 | 3.10 | 2.25 | 1.45 | 1.23 | 1.30 |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 129 | შტუტგარტი(მ)-მიუნხენი1860(მ) | 1.65 | 3.40 | 4.40 | 1.11 | 1.20 | 1.91 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 21:30 | 131 | რიდი-ალტახი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 21:30 | 132 | ზალცბურგი-მატერსბურგი | 1.25 | 4.80 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.18 |
| 21:30 | 133 | შტურმი-ავსტრია | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 21:30 | 134 | ტიროლი-პაშინგი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 18:30 | 130 | რაპიდი-გრაცერი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 20:45 | 135 | ბაზელი-შაფჰაუზენი | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| 20:45 | 136 | თუნი-სტ.გალენი | 3.30 | 3.30 | 2.00 | 1.64 | 1.24 | 1.24 |
| 20:45 | 137 | ციურიხი-აარაუ | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 138 | ლუცერნი-იანგ ბოიზი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 139 | სიონი-გრასჰოპერი | 2:35 | 3.20 | 2.85 | 1.35 | 1.28 | 1.50 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 156 | სამპდორია-კალიარი | 1.85 | 3.00 | 4.70 | 1.14 | 1.32 | 1.83 |
| | | 11 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 149 | სიენა-ასკოლი | 1.75 | 3.00 | 5.30 | 1.10 | 1.31 | 1.91 |
| 18:00 | 150 | ტორინო-კატანია | 2.20 | 2.90 | 3.40 | 1.25 | 1.33 | 1.56 |
| 18:00 | 151 | პალერმო-ფიორენტინა | 3.00 | 2.90 | 2.45 | 1.47 | 1.34 | 1.32 |
| 18:00 | 152 | რეჯინა-ლაციო | 2.55 | 2.90 | 2.85 | 1.35 | 1.34 | 1.43 |
| 23:30 | 154 | რომა-უდინეზე | 1.55 | 3.50 | 6.20 | 1.07 | 1.24 | 2.23 |
| 18:00 | 157 | ატალანტა-პარმა | 1.85 | 3.00 | 4.50 | 1.14 | 1.31 | 1.79 |
| 18:00 | 158 | კიევო-მესინა | 1.80 | 2.90 | 5.30 | 1.11 | 1.34 | 1.87 |
| 18:00 | 159 | ემპოლი-ლივორნო | 1.95 | 2.90 | 4.30 | 1.16 | 1.34 | 1.73 |
| 18:00 | 160 | ინტერი-მილანი | 2.25 | 3.00 | 3.15 | 1.28 | 1.31 | 1.53 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 9 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 163 | ბოლონია-ბარი | 1.50 | 3.20 | 8.00 | 1.02 | 1.26 | 2.28 |
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 162 | პესკარა-მოდენა | 2.20 | 2.80 | 3.40 | 1.23 | 1.33 | 1.53 |
| 18:00 | 164 | ბრეშა-იუვენტუსი | 8.50 | 3.40 | 1.45 | 2.42 | 1.23 | 1.01 |
| 18:00 | 165 | კროტონე-ვერონა | 2.15 | 2.80 | 3.55 | 1.21 | 1.33 | 1.56 |
| 18:00 | 166 | ლეჩე-ფროზინონე | 2.00 | 2.70 | 4.10 | 1.14 | 1.34 | 1.62 |
| 18:00 | 167 | პიაჩენცა-ტრევიზო | 1.85 | 2.90 | 4.50 | 1.12 | 1.31 | 1.76 |
| 18:00 | 168 | რიმინი-ნაპოლი | 2.70 | 2.70 | 2.70 | 1.35 | 1.35 | 1.35 |
| 18:00 | 169 | სპეცია-ალბინოლეფე | 2.40 | 2.60 | 3.20 | 1.24 | 1.37 | 1.43 |
| 18:00 | 170 | ტრიესტინა-ჩეზენა | 2.30 | 2.70 | 3.10 | 1.24 | 1.32 | 1.44 |
| 18:00 | 171 | ვიჩენცა-მანტოვა | 2.35 | 2.60 | 3.40 | 1.23 | 1.38 | 1.47 |
| 18:00 | 172 | არეცო-ჯენოა | 3.00 | 2.70 | 2.45 | 1.42 | 1.34 | 1.28 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 191 | ბარსელონა-რეალი | 1.85 | 3.30 | 4.10 | 1.18 | 1.27 | 1.82 |
| 23:00 | 197 | ლევანტე-ვილიარეალი | 2.50 | 2.90 | 2.90 | 1.34 | 1.34 | 1.45 |
| | | 11 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 190 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| 20:00 | 192 | ბეტისი-სარაგოსა | 2.40 | 3.10 | 2.90 | 1.35 | 1.31 | 1.49 |
| 20:00 | 193 | სელტა-ბილბაო | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 20:00 | 194 | ხეტაფე-უელვა | 2.00 | 3.00 | 3.60 | 1.20 | 1.28 | 1.63 |
| 20:00 | 195 | ტარაგონა-სევილია | 6.00 | 3.50 | 1.55 | 2.21 | 1.23 | 1.07 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 198 | ოსასუნა-ვალენსია | 3.20 | 3.10 | 2.20 | 1.57 | 1.30 | 1.28 |
| 20:00 | 199 | რასინგი-ესპანიოლი | 2.15 | 3.20 | 3.25 | 1.28 | 1.29 | 1.61 |
| 20:00 | 200 | სოსიედადი-მალიორკა | 2.45 | 2.90 | 2.90 | 1.42 | 1.32 | [illegible] |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 204 | ელჩე-ეზიდო | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| 21:00 | 209 | რეალი(ბ)-ლას პალმასი | 2.10 | 2.90 | 3.35 | 1.21 | 1.29 | 1.55 |
| 21:30 | 211 | ვეცინდარიო-სპორტინგი | 2.75 | 2.80 | 2.50 | 1.38 | 1.30 | 1.32 |
| | | 11 მარტი | | | | | | |
| 20:30 | 201 | ალმერია-ალავესი | 1.80 | 3.10 | 4.10 | 1.13 | 1.25 | 1.76 |
| 20:00 | 202 | კადისი-ჰერკულესი | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 20:00 | 203 | კასტელონი-სალამანკა | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 20:00 | 205 | ლორკა-ვალიადოლიდი | 3.20 | 2.90 | 2.15 | 1.52 | 1.28 | 1.23 |
| 20:30 | 206 | მალაგა -სიუდადი | 2.35 | 2.90 | 2.90 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| 15:00 | 207 | მურსია-ალბასეტე | 1.70 | 3.10 | 4.70 | 1.09 | 1.24 | 1.86 |
| 20:00 | 208 | პონფერადინა-ხერესი | 2.50 | 2.90 | 2.70 | 1.34 | 1.29 | 1.39 |
| 21:00 | 210 | ტენერიფე-ნუმანსია | 2.60 | 2.90 | 2.60 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 212 | ბორდო-სოშო | 1.95 | 2.90 | 4.20 | 1.16 | 1.33 | 1.71 |
| 23:00 | 213 | ლე მანი-სტ.ეტიენი | 2.25 | 2.90 | 3.30 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| 23:00 | 216 | ლორიანი-ლილი | 2.65 | 2.90 | 2.70 | 1.38 | 1.33 | 1.39 |
| 23:00 | 219 | ნანტი-ნანსი | 2.20 | 2.80 | 3.60 | 1.23 | 1.36 | 1.57 |
| 23:00 | 220 | ნიცა-რენი | 2.20 | 2.90 | 3.35 | 1.25 | 1.32 | 1.55 |
| 20:10 | 222 | ტულუზი-მონაკო | 2.20 | 2.90 | 3.35 | 1.25 | 1.32 | 1.55 |
| 23:00 | 224 | ტრუა-ვალენსიენი | 2.00 | 2.90 | 4.10 | 1.18 | 1.34 | 1.69 |
| | | 11 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 214 | ლანსი-სედანი | 1.50 | 3.50 | 7.20 | 1.04 | 1.24 | 2.35 |
| 23:45 | 217 | ლიონი-მარსელი | 1.60 | 3.40 | 5.80 | 1.08 | 1.25 | 2.14 |
| 21:00 | 221 | პსჟ-ოსერი | 2.10 | 3.00 | 3.55 | 1.23 | 1.31 | 1.62 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 9 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 226 | ბასტია-ამიენი | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| 23:00 | 227 | ბრესტი-გრენობლი | 2.20 | 2.70 | 3.40 | 1.21 | 1.33 | 1.50 |
| 23:30 | 228 | კაენი-გენგამი | 1.50 | 3.40 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.23 |
| 23:00 | 229 | დიჟონი-მონპელიე | 1.95 | 2.90 | 4.00 | 1.16 | 1.31 | 1.68 |
| 23:00 | 230 | გენიონი-ლე ავრი | 2.70 | 2.80 | 2.60 | 1.37 | 1.32 | 1.34 |
| 23:00 | 231 | ისტრი-კრეტეი | 1.90 | 2.90 | 4.10 | 1.14 | 1.29 | 1.69 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12069 | აბერდინი-პართსი | 1.70 | 1.90 |
| 12070 | დანდი იუნაიტედი-მოზერუელი | 1.70 | 1.90 |
| 12071 | დანფერმლაინი-სტ.მირენი | 1.70 | 1.90 |
| 12072 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 1.90 | 1.70 |
| 12073 | კილმარნოკი-ინვერნესი | 1.70 | 1.90 |
| 12074 | სელტიკი-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 12090 | ნიურნბერგი-აინტრახტი | 1.90 | 1.70 |
| 12091 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12093 | ბოხუმი-დორტმუნდი | 1.90 | 1.70 |
| 12094 | კოტბუსი -ალემანია | 1.90 | 1.70 |
| 12095 | ჰანოვერი-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 12097 | მაინცი-არმინია | 1.70 | 1.90 |
| 12098 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 1.70 | 1.90 |
| 12099 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1.90 | 1.70 |
| 12100 | ბაიერნი-ვერდერი | 1.90 | 1.65 |
| 12149 | სიენა-ასკოლი | 1.60 | 2.00 |
| 12150 | ტორინო-კატანია | 1.60 | 2.00 |
| 12151 | პალერმო-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 12152 | რეჯინა-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 12154 | რომა-უდინეზე | 1.90 | 1.70 |
| 12156 | სამპდორია-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 12157 | ატალანტა-პარმა | 1.60 | 2.00 |
| 12158 | კიევო-მესინა | 1.60 | 2.00 |
| 12159 | ემპოლი-ლივორნო | 1.60 | 2.00 |
| 12160 | ინტერი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 12190 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.60 | 2.00 |
| 12191 | ბარსელონა-რეალი | 1.60 | 2.00 |
| 12192 | ბეტისი-სარაგოსა | 1.60 | 2.00 |
| 12193 | სელტა-ბილბაო | 1.60 | 2.00 |
| 12194 | ხეტაფე-უელვა | 1.60 | 2.00 |
| 12195 | ტარაგონა-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 12197 | ლევანტე-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 12198 | ოსასუნა-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 12199 | რასინგი-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 12200 | სოსიედადი-მალიორკა | 1.60 | 2.00 |
| 12212 | ბორდო-სოშო | 1.60 | 2.00 |
| 12213 | ლე მანი-სტ.ეტიენი | 1.60 | 2.00 |
| 12214 | ლანსი-სედანი | 1.70 | 1.90 |
| 12216 | ლორიანი-ლილი | 1.55 | 2.10 |
| 12217 | ლიონი-მარსელი | 1.70 | 1.90 |
| 12219 | ნანტი-ნანსი | 1.60 | 2.00 |
| 12220 | ნიცა-რენი | 1.55 | 2.10 |
| 12221 | პსჟ-ოსერი | 1.60 | 2.00 |
| 12222 | ტულუზი-მონაკო | 1.60 | 2.00 |
| 12224 | ტრუა-ვალენსიენი | 1.60 | 2.00 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13069 | აბერდინი-პართსი | 1.70 | 1.90 |
| 13070 | დანდი იუნაიტედი-მოზერუელი | 1.70 | 1.90 |
| 13071 | დანფერმლაინი-სტ.მირენი | 1.70 | 1.90 |
| 13072 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 1.95 | 1.65 |
| 13073 | კილმარნოკი-ინვერნესი | 1.70 | 1.90 |
| 13074 | სელტიკი-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 13090 | ნიურნბერგი-აინტრახტი | 1.60 | 2.00 |
| 13091 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13093 | ბოხუმი-დორტმუნდი | 1.55 | 2.10 |
| 13094 | კოტბუსი -ალემანია | 1.60 | 2.00 |
| 13095 | ჰანოვერი-შალკე | 1.60 | 2.00 |
| 13097 | მაინცი-არმინია | 1.60 | 2.00 |
| 13098 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 1.70 | 1.90 |
| 13099 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1.60 | 2.00 |
| 13100 | ბაიერნი-ვერდერი | 1.55 | 2.10 |
| 13149 | სიენა-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 13150 | ტორინო-კატანია | 1.70 | 1.90 |
| 13151 | პალერმო-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 13152 | რეჯინა-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 13154 | რომა-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13156 | სამპდორია-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 13157 | ატალანტა-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 13158 | კიევო-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 13159 | ემპოლი-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 13160 | ინტერი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13190 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 13191 | ბარსელონა-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13192 | ბეტისი-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |
| 13193 | სელტა-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 13194 | ხეტაფე-უელვა | 1.70 | 1.90 |
| 13195 | ტარაგონა-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13197 | ლევანტე-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13198 | ოსასუნა-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 13199 | რასინგი-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13200 | სოსიედადი-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 13212 | ბორდო-სოშო | 1.90 | 1.70 |
| 13213 | ლე მანი-სტ.ეტიენი | 1.90 | 1.70 |
| 13214 | ლანსი-სედანი | 1.90 | 1.70 |
| 13216 | ლორიანი-ლილი | 1.90 | 1.70 |
| 13217 | ლიონი-მარსელი | 1.90 | 1.70 |
| 13219 | ნანტი-ნანსი | 1.90 | 1.70 |
| 13220 | ნიცა-რენი | 1.90 | 1.70 |
| 13221 | პსჟ-ოსერი | 1.90 | 1.70 |
| 13222 | ტულუზი-მონაკო | 1.90 | 1.70 |
| 13224 | ტრუა-ვალენსიენი | 1.90 | 1.70 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

[illegible]

| | | | |
|---|---|---|---|
| 14069 | აბერდინი-პართსი | 1.80 | 2.00 |
| 14070 | დანდი იუნაიტედი-მოზერუელი | 1.80 | 2.00 |
| 14071 | დანფერმლაინი-სტ.მირენი | 1.80 | 2.00 |
| 14072 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 1.22 | 2.50 |
| 14073 | კილმარნოკი-ინვერნესი | 1.60 | 2.30 |
| 14074 | სელტიკი-რეინჯერსი | 1.60 | 2.60 |
| 14090 | ნიურნბერგი-აინტრახტი | 1.60 | 2.30 |
| 14091 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1.30 | 2.50 |
| 14093 | ბოხუმი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 14094 | კოტბუსი -ალემანია | 1.75 | 2.10 |
| 14095 | ჰანოვერი-შალკე | 2.00 | 1.80 |
| 14097 | მაინცი-არმინია | 1.65 | 2.30 |
| 14098 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 1.80 | 2.00 |
| 14099 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1.70 | 2.20 |
| 14100 | ბაიერნი-ვერდერი | 1.70 | 2.20 |
| 14149 | სიენა-ასკოლი | 1.45 | 2.40 |
| 14150 | ტორინო-კატანია | 1.70 | 2.10 |
| 14151 | პალერმო-ფიორენტინა | 1.95 | 1.80 |
| 14152 | რეჯინა-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 14154 | რომა-უდინეზე | 1.25 | 2.50 |
| 14156 | სამპდორია-კალიარი | 1.60 | 2.30 |
| 14157 | ატალანტა-პარმა | 1.60 | 2.30 |
| 14158 | კიევო-მესინა | 1.55 | 2.40 |
| 14159 | ემპოლი-ლივორნო | 1.65 | 2.20 |
| 14160 | ინტერი-მილანი | 1.75 | 2.10 |
| 14190 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.60 | 2.20 |
| 14191 | ბარსელონა-რეალი | 1.60 | 2.20 |
| 14192 | ბეტისი-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 14193 | სელტა-ბილბაო | 1.70 | 2.10 |
| 14194 | ხეტაფე-უელვა | 1.65 | 2.15 |
| 14195 | ტარაგონა-სევილია | 2.50 | 1.30 |
| 14197 | ლევანტე-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 14198 | ოსასუნა-ვალენსია | 2.00 | 1.80 |
| 14199 | რასინგი-ესპანიოლი | 1.70 | 2.10 |
| 14200 | სოსიედადი-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 14212 | ბორდო-სოშო | 1.65 | 2.10 |
| 14213 | ლე მანი-სტ.ეტიენი | 1.80 | 2.00 |
| 14214 | ლანსი-სედანი | 1.25 | 2.50 |
| 14216 | ლორიანი-ლილი | 1.80 | 1.80 |
| 14217 | ლიონი-მარსელი | 1.30 | 2.50 |
| 14219 | ნანტი-ნანსი | 1.75 | 2.10 |
| 14220 | ნიცა-რენი | 1.75 | 2.10 |
| 14221 | პსჟ-ოსერი | 1.70 | 2.20 |
| 14222 | ტულუზი-მონაკო | 1.75 | 2.10 |
| 14224 | ტრუა-ვალენსიენი | 1.70 | 2.20 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 232 | ლიბურნი-ტუარი | 1.85 | 2.90 | 4.10 | 1.12 | 1.27 | 1.69 |
| 23:00 | 233 | მეცი-ნიორი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 23:00 | 235 | სტრასბური-აიაჩო | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| | | 12 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 234 | რეიმსი-შატორუ | 2.05 | 2.90 | 3.50 | 1.20 | 1.29 | 1.58 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 9 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 236 | შარლერუა-მონსი | 1.60 | 3.60 | 5.20 | 1.10 | 1.22 | 2.12 |
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 237 | სტანდარდი-გენტი | 1.70 | 3.50 | 4.50 | 1.14 | 1.23 | 1.96 |
| 23:00 | 238 | ვარეგემი-ბევერენი | 1.60 | 3.60 | 4.90 | 1.10 | 1.20 | 2.07 |
| 23:00 | 239 | ბრიუხელი-ხერკლი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 23:00 | 240 | ლიერსი-რუზელარე | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 23:00 | 241 | ლოკერენი-სტ-ტრუიდენი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 23:00 | 242 | მუსკრონი-ბეერსხოტი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 23:00 | 243 | ბრიუგე-ვესტერლო | 1.50 | 3.70 | 6.10 | 1.06 | 1.20 | 2.30 |
| | | 11 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 244 | გენკი-ანდერლეხტი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 9 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 254 | როდა-უტრეხტი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 255 | ჰერენვენი-ვალვაიკი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 22:30 | 256 | ბრედა-ჰერაკლესი | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 22:30 | 257 | ტილბურგი-გრონინგენი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 23:00 | 258 | სპარტა-ნაიმეგენი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| | | 11 მარტი | | | | | | |
| 15:30 | 259 | ალკმაარი-ფეიენოორდი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 17:30 | 260 | ექსელსიორი-პსვ | 9.00 | 4.30 | 1.30 | 2.90 | 1.13 | 1.00 |
| 17:30 | 262 | ტვენტე-აიაქსი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 17:30 | 263 | ვიტესი-დენ ჰააგი | 1.50 | 3.70 | 5.70 | 1.06 | 1.18 | 2.24 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 9 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 264 | დენ ბოსხი-კამბური | 1.45 | 3.70 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.21 |
| 23:00 | 265 | დორდრეხტი-ვეენდამი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 23:00 | 266 | ემენი-ჰაარლემი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 23:00 | 267 | სიტარდი-ოსი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 23:00 | 268 | ჰელმონდი-აპელდორნი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 23:00 | 269 | როზენდალი-იგლსი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 23:00 | 270 | ტელსტარი-ალმერე | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 23:00 | 271 | ვოლენდამი-ეინდჰოვენი | 1.35 | 4.20 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.55 |
| 23:00 | 272 | ვენლო-გრააფსხაპი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 23:00 | 273 | ზვოლე-მაასტრიხტი | 1.80 | 3.20 | 3.70 | 1.15 | [illegible] | [illegible] |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 9 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 280 | ნავალი-ბოავიშტა | 2.40 | 3.10 | 2.85 | 1.35 | 1.30 | 1.48 |
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 23:15 | 278 | ბელენენსეში-ნასიონალი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 23:45 | 282 | სპორტინგი-ამადორა | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| | | 11 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 275 | აკადემიკა-ფერეირა | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| 23:00 | 277 | ბრაგა-ბეირა მარი | 1.35 | 4.20 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| 23:15 | 279 | მარიტიმუ-პორტუ | 4.50 | 3.40 | 1.70 | 1.93 | 1.23 | 1.13 |
| 20:00 | 281 | ხეტუბალი-ავეში | 2.00 | 3.10 | 3.65 | 1.21 | 1.29 | 1.67 |
| | | 12 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 276 | ბენფიკა-ლეირია | 1.35 | 4.30 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.66 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 18:45 | 291 | ატრომიტოსი-ქსანთი | 2.10 | 3.00 | 3.40 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| 21:00 | 292 | პაოკ-ეგალეო | 1.60 | 3.40 | 5.70 | 1.08 | 1.24 | 2.12 |
| | | 11 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 293 | ოფი-კერკირა | 1.70 | 3.20 | 4.90 | 1.11 | 1.26 | 1.93 |
| 17:00 | 294 | პანიონიოსი-იონიკოსი | 1.13 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.03 | 4.21 |
| 18:45 | 295 | კალამარია-ოლიმპიაკოსი | 4.50 | 3.20 | 1.70 | 1.87 | 1.23 | 1.11 |
| 18:45 | 296 | ოლიმპია-აეკ | 3.70 | 3.00 | 2.00 | 1.65 | 1.29 | 1.20 |
| 21:00 | 297 | პანათინაიკოსი-ერგოტელისი | 1.15 | 6.00 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.10 |
| 21:00 | 298 | არისი-ირაკლისი | 1.60 | 3.40 | 5.20 | 1.08 | 1.22 | 2.05 |
| | | თურქეთი | | | | | | |
| | | 9 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 308 | საკარია-კაისერი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | -1.26 |
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 302 | ფენერბაჰჩე-კონია | 1.32 | 4.40 | 8.00 | 1.01 | 1.13 | 2.83 |
| 16:00 | 306 | გენჩლერბირლიგი-გაზიანთეფი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 16:00 | 309 | სივასპორი-ბურსა | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| | | 11 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 299 | ანკარაგიუჯიუ-ბეშიქთაში | 3.35 | 3.20 | 2.00 | 1.63 | 1.25 | 1.23 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15069 | აბერდინი-ჰართსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15070 | დანდი იუნაიტედი-მოზერუელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15071 | დანფერმლაინი-სტ.მირენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15072 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15073 | კილმარნოკი-ინვერნესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15074 | სელტიკი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15090 | ნიურნბერგი-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15091 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15093 | ბოხუმი-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15094 | კოტბუსი -ალემანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15095 | ჰანოვერი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15097 | მაინცი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15098 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | ბაიერნი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15149 | სიენა-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15150 | ტორინო-კატანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15151 | პალერმო-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15152 | რეჯინა-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15154 | რომა-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15156 | სამპდორია-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15157 | ატალანტა-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15158 | კიევო-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15159 | ემპოლი-ლივორნო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15160 | ინტერი-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15190 | ატლეტიკო-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15191 | ბარსელონა-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15192 | ბეტისი-სარაგოსა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15193 | სელტა-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15194 | ხეტაფე-უელვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15195 | ტარაგონა-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15197 | ლევანტე-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15198 | ოსასუნა-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15199 | რასინგი-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15200 | სოსიედადი-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15212 | ბორდო-სოშო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15213 | ლე მანი-სტ-ეტიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15214 | ლანსი-სედანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15216 | ლორიანი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15217 | ლიონი-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15219 | ნანტი-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15220 | ნიცა-რენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15221 | პსჟ-ოსერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15222 | ტულუზი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15224 | ტრუა-ვალენსიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16069 | აბერდინი-ჰართსი | 1.70 | 1.90 |
| 16070 | დანდი იუნაიტედი-მოზერუელი | 1.65 | 2.00 |
| 16071 | დანფერმლაინი-სტ.მირენი | 1.70 | 1.90 |
| 16072 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 1.15 | 4.50 |
| 16073 | კილმარნოკი-ინვერნესი | 1.35 | 2.80 |
| 16074 | სელტიკი-რეინჯერსი | 1.35 | 2.80 |
| 16090 | ნიურნბერგი-აინტრახტი | 1.30 | 3.00 |
| 16091 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1.22 | 3.50 |
| 16093 | ბოხუმი-დორტმუნდი | 1.75 | 1.85 |
| 16094 | კოტბუსი -ალემანია | 1.52 | 2.25 |
| 16095 | ჰანოვერი-შალკე | 1.90 | 1.70 |
| 16097 | მაინცი-არმინია | 1.40 | 2.45 |
| 16098 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 1.60 | 2.00 |
| 16099 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1.40 | 2.40 |
| 16100 | ბაიერნი-ვერდერი | 1.38 | 2.60 |
| 16149 | სიენა-ასკოლი | 1.15 | 4.20 |
| 16150 | ტორინო-კატანია | 1.43 | 2.60 |
| 16151 | პალერმო-ფიორენტინა | 1.90 | 1.70 |
| 16152 | რეჯინა-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 16154 | რომა-უდინეზე | 1.11 | 5.00 |
| 16156 | სამპდორია-კალიარი | 1.25 | 3.20 |
| 16157 | ატალანტა-პარმა | 1.25 | 3.10 |
| 16158 | კიევო-მესინა | 1.22 | 3.20 |
| 16159 | ემპოლი-ლივორნო | 1.32 | 3.00 |
| 16160 | ინტერი-მილანი | 1.65 | 2.00 |
| 16190 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.30 | 2.90 |
| 16191 | ბარსელონა-რეალი | 1.30 | 2.90 |
| 16192 | ბეტისი-სარაგოსა | 1.65 | 1.95 |
| 16193 | სელტა-ბილბაო | 1.52 | 2.20 |
| 16194 | ხეტაფე-უელვა | 1.40 | 2.50 |
| 16195 | ტარაგონა-სევილია | 4.10 | 1.15 |
| 16197 | ლევანტე-ვილიარეალი | 1.65 | 1.95 |
| 16198 | ოსასუნა-ვალენსია | 2.10 | 1.55 |
| 16199 | რასინგი-ესპანიოლი | 1.55 | 2.20 |
| 16200 | სოსიედადი-მალიორკა | 1.50 | 2.10 |
| 16212 | ბორდო-სოშო | 1.31 | 2.90 |
| 16213 | ლე მანი-სტ-ეტიენი | 1.55 | 2.10 |
| 16214 | ლანსი-სედანი | 1.12 | 4.50 |
| 16216 | ლორიანი-ლილი | 1.80 | 1.80 |
| 16217 | ლიონი-მარსელი | 1.15 | 4.00 |
| 16219 | ნანტი-ნანსი | 1.50 | 2.30 |
| 16220 | ნიცა-რენი | 1.50 | 2.30 |
| 16221 | პსჟ-ოსერი | 1.37 | 2.65 |
| 16222 | ტულუზი-მონაკო | 1.52 | 2.20 |
| 16224 | ტრუა-ვალენსიენი | 1.41 | 2.55 |

## გოლი:წყვილი-1ის კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17069 | აბერდინი-ჰართსი | 1.85 | 1.95 |
| 17070 | დანდი იუნაიტედი-მოზერუელი | 1.85 | 1.95 |
| 17071 | დანფერმლაინი-სტ.მირენი | 1.85 | 1.95 |
| 17072 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 1.85 | 1.95 |
| 17073 | კილმარნოკი-ინვერნესი | 1.85 | 1.95 |
| 17074 | სელტიკი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17090 | ნიურნბერგი-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17091 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17093 | ბოხუმი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17094 | კოტბუსი -ალემანია | 1.85 | 1.95 |
| 17095 | ჰანოვერი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17097 | მაინცი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17098 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17099 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17100 | ბაიერნი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17149 | სიენა-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17150 | ტორინო-კატანია | 1.85 | 1.95 |
| 17151 | პალერმო-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17152 | რეჯინა-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17154 | რომა-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17156 | სამპდორია-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17157 | ატალანტა-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17158 | კიევო-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17159 | ემპოლი-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17160 | ინტერი-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17190 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17191 | ბარსელონა-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17192 | ბეტისი-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17193 | სელტა-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17194 | ხეტაფე-უელვა | 1.85 | 1.95 |
| 17195 | ტარაგონა-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17197 | ლევანტე-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17198 | ოსასუნა-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17199 | რასინგი-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17200 | სოსიედადი-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17212 | ბორდო-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 17213 | ლე მანი-სტ-ეტიენი | 1.85 | 1.95 |
| 17214 | ლანსი-სედანი | 1.85 | 1.95 |
| 17216 | ლორიანი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17217 | ლიონი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17219 | ნანტი-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17220 | ნიცა-რენი | 1.85 | 1.95 |
| 17221 | პსჟ-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17222 | ტულუზი-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17224 | ტრუა-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 300 | ანტალია-ანკარა | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 16:00 | 301 | ერჯიესი-დენიზლი | 1.95 | 3.20 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.68 |
| 21:00 | 304 | გალათასარაი-ტრაბზონი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 16:00 | 307 | რიზე-მანისა | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| | | | ჩეხეთი | | | | | |
| | | | 10 მარტი | | | | | |
| 20:00 | 326 | სლოვაცკო-ტეპლიცე | 3.10 | 3.10 | 2.10 | 1.54 | 1.25 | 1.25 |
| | | | 11 მარტი | | | | | |
| 18:00 | 327 | პლზენი-ბოლესლავი | 2.55 | 3.00 | 2.55 | 1.37 | 1.27 | 1.37 |
| 20:00 | 328 | სიგმა-ბანიკი | 2.05 | 3.10 | 3.30 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 20:00 | 329 | მოსტი-ზლინი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 20:00 | 330 | ბრნო-ბუდეიოვიცე | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| 20:00 | 331 | კლადნო-პრჟიბრამი | 2.00 | 3.10 | 3.35 | 1.21 | 1.25 | 1.61 |
| 23:15 | 332 | სპარტა-იაბლონეცი | 1.30 | 4.20 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.86 |
| | | | 12 მარტი | | | | | |
| 20:15 | 333 | ლიბერეცი-სლავია | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.28 | 1.47 |
| | | | დანია. სუპერლიგა | | | | | |
| | | | 10 მარტი | | | | | |
| 20:00 | 344 | მიდტიულანდი-ვეილე | 1.35 | 4.20 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.81 |
| | | | 11 მარტი | | | | | |
| 18:00 | 340 | ოლბორგი-ვიბორგი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 21:00 | 341 | ბრიონდბიუ-ნორდსიელანდი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 18:00 | 342 | ესბიერგი-კოპენჰაგენი | 4.20 | 3.50 | 1.75 | 1.90 | 1.23 | 1.16 |
| 18:00 | 343 | პორსენსი-სილკებორგი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 18:00 | 345 | ოდენსე-რანდერსი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | | ირლანდია | | | | | |
| | | | 9 მარტი | | | | | |
| 23:45 | 346 | დერი-ბრეი | 1.35 | 4.20 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.62 |
| 23:45 | 347 | გალვეი-სლიგო | 2.25 | 3.20 | 2.65 | 1.32 | 1.21 | 1.44 |
| 23:45 | 348 | დუბლინი-შემროკი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 23:45 | 349 | უოტერფორდი-კორკი | 4.20 | 3.30 | 1.70 | 1.84 | 1.21 | 1.12 |
| 23:45 | 350 | ბოჰემიანი-დროგედა | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| | | | 10 მარტი | | | | | |
| 23:30 | 351 | ლონგფორდი-სტ.პატრიკსი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | | იაპონია | | | | | |
| | | | 10 მარტი | | | | | |
| 09:00 | 352 | კოფუ-ნაგოია | 2.20 | 3.10 | 2.80 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| 09:00 | 353 | ჰიროსიმა-კაშივა | 1.80 | 3.30 | 3.50 | 1.16 | 1.18 | 1.69 |
| 10:00 | 354 | ივატა-ოიტა | 1.80 | 3.30 | 3.50 | 1.16 | 1.18 | 1.69 |
| 11:00 | 355 | ომია-ტოკიო | 2.30 | 3.10 | 2.70 | 1.32 | 1.24 | 1.44 |
| 14:00 | 356 | იჩიჰარა-შიმიცუ | 2.40 | 3.00 | 2.60 | 1.33 | 1.24 | 1.39 |
| 14:00 | 357 | იოკოჰამა ფკ-იოკოჰამა ფმ | 2.60 | 3.00 | 2.35 | 1.39 | 1.21 | 1.31 |
| | | | 11 მარტი | | | | | |
| 09:00 | 358 | კაშიმა-გამბა | 2.40 | 3.00 | 2.60 | 1.33 | 1.24 | 1.39 |
| 11:00 | 359 | ნიიგატა-ურავა | 2.75 | 3.10 | 2.20 | 1.45 | 1.22 | 1.28 |
| 11:00 | 360 | კობე-კავასაკი | 2.70 | 3.10 | 2.30 | 1.44 | 1.24 | 1.32 |
| | | | ინგლისი. FA Cup | | | | | |
| | | | 10 მარტი | | | | | |
| 21:30 | 575 | მიდლსბრო-მანჩესტერი | 4.50 | 3.40 | 1.75 | 1.93 | 1.25 | 1.15 |
| | | | 11 მარტი | | | | | |
| 16:45 | 576 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1.40 | 4.10 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.58 |
| 20:00 | 577 | ბლექბერნი-სიტი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 22:00 | 578 | პლიმუთი-უოტფორდი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| | | | კალათბურთი. ესპანეთი | | | | | |
| | | | 10 მარტი | | | | | |
| 22:00 | 658 | სან ფერნანდო-ბარსელონა | 2.20 | 12.00 | 1.50 | 1.85 | 1.00 | 1.33 |
| 22:00 | 662 | რეალი-აუნკაბლე | 1.11 | 12.00 | 5.00 | 1.01 | 1.00 | 3.52 |
| | | | 11 მარტი | | | | | |
| 15:30 | 659 | უნიკახა-გრანადა | 1.25 | 12.00 | 3.20 | 1.13 | 1.00 | 2.52 |
| 15:30 | 660 | ფუენლაბრადა-მურსია | 1.50 | 12.00 | 2.40 | 1.33 | 1.00 | 2.00 |
| 15:30 | 661 | მენორკა-ვალენსია | 2.00 | 12.00 | 1.65 | 1.71 | 1.00 | 1.45 |
| 22:00 | 663 | ხირონა-ესტუდიანტესი | 1.20 | 12.00 | 3.30 | 1.09 | 1.00 | 2.58 |
| 15:15 | 664 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1.55 | 12.00 | 2.30 | 1.37 | 1.00 | 1.93 |
| 22:00 | 665 | ბრუესა-ალიკანტე | 1.65 | 12.00 | 2.00 | 1.45 | 1.00 | 1.71 |
| 15:30 | 667 | ხუვენტუდი-ტაუ | 1.90 | 12.00 | 1.65 | 1.64 | 1.00 | 1.45 |
| | | | კალათბურთი. საბერძნეთი | | | | | |
| | | | 10 მარტი | | | | | |
| 18:45 | 668 | პაოკ-მარუსი | 1.30 | 12.00 | 3.00 | 1.17 | 1.00 | 2.40 |
| 19:00 | 670 | ოლიმპიაკოსი-ოლიმპია | 1.02 | 12.00 | 6.50 | 1.00 | 1.00 | 4.21 |
| 19:00 | 671 | ეგალეო-მაკედონიკოსი | 1.05 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 20:00 | 672 | პანელინიოსი-აპოლონი | 1.12 | 12.00 | 4.00 | 1.02 | 1.00 | 3.00 |
| | | | 11 მარტი | | | | | |
| 18:00 | 673 | აეკ-არისი | 2.00 | 12.00 | 1.60 | 1.71 | 1.00 | 1.41 |
| 21:00 | 674 | აელ-პანათინაიკოსი | 6.00 | 12.00 | 1.05 | 4.00 | 1.00 | 1.00 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10069 | აბერდინი-პართსი | 2.75 | 2.00 | 3.25 | 1.15 | 1.48 | 1.23 |
| 10070 | დანდი იუნაიტედი-მოზერუელი | 2.70 | 2.00 | 3.35 | 1.14 | 1.49 | 1.25 |
| 10071 | დანფერმლაინი-სტ.მირენი | 2.80 | 2.00 | 3.35 | 1.16 | 1.52 | 1.25 |
| 10072 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 1.90 | 2.10 | 5.50 | 1.00 | 1.41 | 1.51 |
| 10073 | კილმარნოკი-ინვერნესი | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10074 | სელტიკი-რეინჯერსი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10090 | ნიურნბერგი-აინტრახტი | 2.25 | 2.10 | 4.65 | 1.08 | 1.51 | 1.44 |
| 10091 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 2.10 | 2.10 | 5.40 | 1.04 | 1.51 | 1.51 |
| 10093 | ბოხუმი-დორტმუნდი | 2.95 | 2.00 | 3.10 | 1.19 | 1.51 | 1.21 |
| 10094 | კოტბუსი -ალემანია | 2.65 | 2.00 | 3.60 | 1.13 | 1.52 | 1.28 |
| 10095 | ჰანოვერი-შალკე | 3.25 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.48 | 1.15 |
| 10097 | მაინცი-არმინია | 2.40 | 2.00 | 4.20 | 1.09 | 1.52 | 1.35 |
| 10098 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 2.70 | 2.00 | 3.40 | 1.14 | 1.50 | 1.25 |
| 10099 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 2.45 | 2.00 | 3.65 | 1.10 | 1.46 | 1.29 |
| 10100 | ბაიერნი-ვერდერი | 2.45 | 2.00 | 3.85 | 1.10 | 1.49 | 1.31 |
| 10149 | სიენა-ასკოლი | 2.15 | 2.00 | 5.70 | 1.03 | 1.56 | 1.48 |
| 10150 | ტორინო-კატანია | 2.65 | 1.90 | 3.85 | 1.10 | 1.56 | 1.27 |
| 10151 | პალერმო-ფიორენტინა | 3.45 | 1.90 | 2.90 | 1.22 | 1.57 | 1.14 |
| 10152 | რეჯინა-ლაციო | 2.95 | 1.90 | 3.35 | 1.15 | 1.56 | 1.21 |
| 10154 | რომა-უდინეზე | 1.95 | 2.10 | 6.50 | 1.01 | 1.50 | 1.58 |
| 10156 | სამპდორია-კალიარი | 2.20 | 2.00 | 5.20 | 1.04 | 1.54 | 1.44 |
| 10157 | ატალანტა-პარმა | 2.25 | 2.00 | 4.95 | 1.05 | 1.54 | 1.42 |
| 10158 | კიევო-მესინა | 2.25 | 1.90 | 5.50 | 1.03 | 1.59 | 1.41 |
| 10159 | ემპოლი-ლივორნო | 2.45 | 1.90 | 4.75 | 1.07 | 1.61 | 1.35 |
| 10160 | ინტერი-მილანი | 2.70 | 1.90 | 3.75 | 1.11 | 1.56 | 1.26 |
| 10190 | ატლეტიკო-დეპორტივო | 2.35 | 2.10 | 4.20 | 1.10 | 1.50 | 1.39 |
| 10191 | ბარსელონა-რეალი | 2.35 | 2.10 | 4.20 | 1.10 | 1.50 | 1.39 |
| 10192 | ბეტისი-სარაგოსა | 2.85 | 2.00 | 3.30 | 1.17 | 1.52 | 1.24 |
| 10193 | სელტა-ბილბაო | 2.65 | 2.00 | 3.65 | 1.13 | 1.53 | 1.29 |
| 10194 | ხეტაფე-უელვა | 2.50 | 2.00 | 4.10 | 1.11 | 1.55 | 1.34 |
| 10195 | ტარაგონა-სევილია | 6.00 | 2.10 | 1.95 | 1.55 | 1.47 | 1.01 |
| 10197 | ლევანტე-ვილიარეალი | 2.95 | 2.00 | 3.35 | 1.19 | 1.56 | 1.25 |
| 10198 | ოსასუნა-ვალენსია | 3.65 | 2.00 | 2.70 | 1.29 | 1.55 | 1.14 |
| 10199 | რასინგი-ესპანიოლი | 2.60 | 2.00 | 3.65 | 1.13 | 1.51 | 1.29 |
| 10200 | ხოსიედადი-მალიორკა | 2.80 | 2.00 | 3.45 | 1.16 | 1.54 | 1.26 |
| 10212 | ბორდო-სოშო | 2.50 | 1.90 | 4.60 | 1.07 | 1.61 | 1.34 |
| 10213 | ლე მანი-სტ.ეტიენი | 2.75 | 1.80 | 3.75 | 1.08 | 1.58 | 1.21 |
| 10214 | ლანსი-სედანი | 1.95 | 2.10 | 6.20 | 1.01 | 1.48 | 1.56 |
| 10216 | ლორიანი-ლილი | 3.15 | 1.80 | 3.30 | 1.14 | 1.61 | 1.16 |
| 10217 | ლიონი-მარსელი | 2.15 | 2.00 | 5.70 | 1.03 | 1.56 | 1.48 |
| 10219 | ნანტი-ნანსი | 2.75 | 1.90 | 4.00 | 1.12 | 1.62 | 1.28 |
| 10220 | ნიცა-რენი | 2.80 | 1.80 | 3.85 | 1.09 | 1.62 | 1.22 |
| 10221 | პსჟ-ოსერი | 2.65 | 1.90 | 4.00 | 1.10 | 1.59 | 1.28 |
| 10222 | ტულუზი-მონაკო | 2.75 | 1.80 | 3.85 | 1.08 | 1.60 | 1.22 |
| 10224 | ტრუა-ვალენსიენი | 2.65 | 1.80 | 4.65 | 1.07 | 1.68 | 1.29 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11069 | აბერდინი-პართსი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11070 | დანდი იუნაიტედი-მოზერუელი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11071 | დანფერმლაინი-სტ.მირენი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11072 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11073 | კილმარნოკი-ინვერნესი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11074 | სელტიკი-რეინჯერსი | 2.65 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11090 | ნიურნბერგი-აინტრახტი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11091 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11093 | ბოხუმი-დორტმუნდი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11094 | კოტბუსი -ალემანია | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11095 | ჰანოვერი-შალკე | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.40 |
| 11097 | მაინცი-არმინია | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11098 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11099 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11100 | ბაიერნი-ვერდერი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11149 | სიენა-ასკოლი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11150 | ტორინო-კატანია | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11151 | პალერმო-ფიორენტინა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11152 | რეჯინა-ლაციო | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11154 | რომა-უდინეზე | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11156 | სამპდორია-კალიარი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11157 | ატალანტა-პარმა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11158 | კიევო-მესინა | 2.65 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11159 | ემპოლი-ლივორნო | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11160 | ინტერი-მილანი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11190 | ატლეტიკო-დეპორტივო | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11191 | ბარსელონა-რეალი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11192 | ბეტისი-სარაგოსა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11193 | სელტა-ბილბაო | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11194 | ხეტაფე-უელვა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11195 | ტარაგონა-სევილია | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.30 |
| 11197 | ლევანტე-ვილიარეალი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11198 | ოსასუნა-ვალენსია | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.30 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11199 | რასინგი-ესპანიოლი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11200 | ხოსიედადი-მალიორკა | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11212 | ბორდო-სოშო | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11213 | ლე მანი-სტ.ეტიენი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11214 | ლანსი-სედანი | 1.90 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11216 | ლორიანი-ლილი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11217 | ლიონი-მარსელი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11219 | ნანტი-ნანსი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11220 | ნიცა-რენი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11221 | პსჟ-ოსერი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.20 |
| 11222 | ტულუზი-მონაკო | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11224 | ტრუა-ვალენსიენი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ფაჩულიას რეცეპტი: ძმურად გავიყოთ ბურთი



ზაზა ფაჩულია დაცვაშიც კედლივით იდგა

7 მარტი

**ატლანტა 100:97 ვაშინგტონი**

**ატლანტა:** ა. ჯონსონი (19), ჩილდრესი (7), ჯონსი (8), სმიტი (13), **ფაჩულია** (39 წუთი, 27 ქულა, 12 მოხსნა, 4 პასი, 3 ჩაჭრა, 1 დაფარება); სტუდემაიერი (13), ლუ (7), შ. უილიამსი (6), აივი

**ვაშინგტონი:** არენასი (28), სტივენსონი (6), ბატლერი (19 ქულა, 11 მოხსნა), ჯეიმისონი (22), ჰეივუდი (4); ბუთი (4), დანიელსი (4), სონგაილა (4), ჰეიესი (2), ტეილორი (2), მეისონი (2)

**ზოგი ტრავმა** მარგებელი ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, მოთამაშისთვის თუ არა, მისი გუნდისთვის მაინც. ისედაც ცხრილის ძირზე გართხმულ და ბოლო ორ კვირაში ყველასთან ქედმოხრილ „ატლანტას" სულ გაუქრა ალმოსავლეთის ერთ-ერთ ყოჩ „ვაშინგტონის" ძლევის შანსი მას შემდეგ, რაც ლიდერი და ბომბარდირი ჯო ჯონსონი დაემტვრა და მას ძირითადი ხუთეულის კიდევ ერთი წევრი, მარვინ უილიამსი „გაჰყვა". ეს ორივე ჯამში საშუალოდ 37 ქულას უკეთებს „ატლანტას", მათ გარეშე კი რაღა უნდა მოეხერხებინა ისედაც ზედიზედ ექვსი თამაშის წამგებ ამ წყალწაღებულ გუნდს?!

მოკლედ, „ატლანტა" ერთი შეხედვით უშანსოდ შთენილიყო, მაგრამ ყველა ასე უიმედოდ როდი გახლდათ და ჯილბერტ არენასის გუნდთან საბრძოლველად განწყობილთა შორის ჯორჯიელთა ქართველი ცენტრი ზაზა ფაჩულიაც გახლდათ. ზაზა ისე გაისარჯა, როგორც არასდროს არავისთან, 27 ქულა მოიხვეჭა და კარიერის რეკორდი დაამყარა.

ამ სეზონში ფაჩულიამ ოთხჯერ გააკეთა 22 ქულა. ბოლო ხანს კი ის ნაბიჯ-ნაბიჯ, მეთოდურად უახლოვდებოდა ამ რეკორდს: „სან ანტონიოსთან" 23 ქულა ჩააგდო, „დალასთან" 24 მოიხვეჭა. ახლა თითქოს 25-ის ჯერი დამდგარიყო, მაგრამ ფაჩულიამ ერთბაშად დიდი ნახტომი გააკეთა — სეზონში კი არა, კარიერაში სარეკორდო, 26-ქულიან თამასას შეუტია და დაძლია კიდეც.

„როდესაც გუნდს ლიდერი აკლია, დანარჩენებმა ბურთი ძმურად უნდა გავიყოთ და მეტოქის ფარისკენ ჩვენით ვეძებოთ გზები. ამ თამაშში მე უფრო ხშირად მომდიოდა ბურთი და კარგადაც ვისარგებლე ამით" — ამბობდა ნამატჩევს შეხვედრის გმირი.

ზაზას მიერ ნახსენები ძმობა და ერთობა საერთო საქმის წარმატებლად დასამთავრებლად, იცოცხლეთ, საჭირო რამაა, ოღონდ ატლანტელთა შორის თამაშის დროს მოედანზე მაინც მოხდა განხეთქილების მაგვარი. მეორე მეოთხედში მასპინძელთა ახალწვეული გამთამაშებელი ენტონი ჯონსონი და ფეხზამბარა ფორვარდი ჯოშ სმიტი შელაპარაკდნენ. სმიტს ყველას გასაგონ-დასანახად უყვირია ჯონსონისთვის, პასს რატომ არ მაძლევო. ვუდსონმა, ასე ვთქვათ, ახალწვეულის მხარე დაიჭირა, სმიტი დასვა სკამზე და 17 წუთი არ აუყენებია.

„ყველაზე ასაკოვანი ვარ. ამ გუნდში მხოლოდ მე მაქვს პლეი ოფში თამაშის გამოცდილება — ნამატჩევს თავს იმართლებდასავით ჯონსონი — კრიტიკულ ეპიზოდებში ვალდებულიც ვიყავი, თამაში საკუთარ თავზე ამეღო."

ენტონი ჯონსონი ზაზა ფაჩულიასთან ერთად ლიდერობდა გუნდს. ვეტერანი გამთამაშებელი გონივრული პასებით და გათამაშებებით შლიდა ვაშინგტონურ დაცვას და თანაც ცოტა არაორდინალური ბურთაობით ნერვებს უშლიდა როგორც მეტოქეებს, ისე თანაგუნდელებსაც.

მაგრამ საუკეთესო თავისიანთა შორის მაინც ზაზა ფაჩულია გახლდათ, რომელიც ლომივით ტრიალებდა ფარქვეშ და ვაშინგტონელებს სისხლს უშრობდა. საბოლოოდ მან 27 ქულას 12 მოხსნაც მოაყოლა, ზედ 4 პასი დაურთო, რითაც სეზონის პირადი რეკორდი გაიმეორა და ჩაროზად მეტოქეს სამჯერაც დაუფარა და კარიერის რეკორდი გაიმეორა, რომელიც ორი წლის წინ „მილუოკში" თამაშისას სწორედ თავის მომავალ გუნდ „ატლანტასთან" დაამყარა. მოკლედ, ის თავისი გუნდის სული და გული იყო და „ჰოქსს" ბოლო თამაშში პირველი მოგებაც მოაპოვებინა. ქართველი მთელი თამაში სტაბილურად ირჯებოდა — პირველ მეოთხედში 8 ქულა გააკეთა, შემდეგ 5, 6, ბოლოს ისევ 8 და გუნდსაც მთელი 48 წუთი უნარჩუნებდა იმის შეგრძნებას, რომ მათ შეეძლოთ ამ თამაშის მოგება.

**ქოტე ყორჩია**

**მილუოკი 110:90 ლეიკერსი**

**მილუოკი:** ვილანუევა (26), ბოგუტი (22), ბელი (20)

**ლეიკერსი:** ევანსი (22), კუკი (20)

**დეტროიტი 97:101 კლივლენდი**

*ძირითადი დრო 93:93*

**დეტროიტი:** ჰამილტონი (29), ვებერი (20 ქულა, 11 მოხსნა), ბილაფსი (16 ქულა, 13 პასი, 7 პასი)

**კლივლენდი:** ჯეიმსი (41 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა), გუდენი (22 ქულა, 10 მოხსნა), ილგაუსკასი (14 ქულა, 10 მოხსნა)

**იუტა 94:72 ინდიანა**

**იუტა:** უილიამსი (17), ბუზერი (14 ქულა, 16 მოხსნა), ჰარპრინგი (14)

**ინდიანა:** მერფი (15)

**გოლდენ სტეიტი 110:96 დენვერი**

**გოლდენ სტეიტი:** დევისი (22 ქულა, 9 პასი), ჰარინგტონი (20), ჯეკსონი (18), რიჩარდსონი (16)

**დენვერი:** აივერსონი (35), ჯონსონი (15)

**ფინიქსი 115:106 შარლოტი**

*ძირითადი დრო 98:98*

**ფინიქსი:** ბარბოსა (32), ნეში (24 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), ბელი (18), მერიონი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**შარლოტი:** ვოლესი (22 ქულა, 15 მოხსნა), მორისონი (22), კეროლი (16), ფელტონი (13 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), ვოსკული (13 ქულა, 13 მოხსნა)

**მაიამი 103:70 ჩიკაგო**

**მაიამი:** ონილი (24 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), ჯონსი (23), უოლკერი (14 ქულა, 10 მოხსნა)

**ჩიკაგო:** გორდონი (14)

**ბოსტონი 80:111 ჰიუსტონი**

**ბოსტონი:** ჯეფერსონი (20 ქულა, 11 მოხსნა), პირსი (20)

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (25), ბეტიე (15), ჰეიესი (14 ქულა, 11 მოხსნა)

**ფილადელფია 92:89 სიეტლი**

**ფილადელფია:** (25 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი), მილერი (17)

**სიეტლი:** ალენი (29), უილკოქსი (18)

**ტორონტო 94:87 მემფისი**

**ტორონტო:** ბოში (19), ბარნანი (18)

**მემფისი:** მილერი (19), გაი (17 ქულა, 11 მოხსნა), გასოლი (19)



# მწვრთნელი შეგირდებს პეკინში ხედავს

საქართველოს ქალ ძიუდოისტთა ნაკრებისათვის წლევანდელი წელი ორმაგად მნიშვნელოვანია. ერთი, რომ გოგონებს ტურნირებით „დახუნძლული" სეზონი ელით და რაც მთავარია, საპეკინო ლიცენზებისთვის მოუწევთ ბრძოლა. წლეულს ქალებმა სამი ტურნირი მოილიეს და ყველგან უმედლოდ დარჩნენ. თუმცა ტურნირიდან ტურნირამდე პროგრესს განიცდიან და მთავარი ორთაბრძოლებისთვის ემზადებიან. ასე იყო ახლახან პრაღაში გამართულ მსოფლიო თასზეც, თუმცა იქ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მაინც მოხდა — მძიმე წონოსანმა მარიამ ჩადუნელმა მეშვიდე ადგილი ირგუნა. ასეთი შედეგი ჩვენს ქალთაგან აქამდე არავის ჰქონია და მარიამის მეშვიდე პოზიცია დადებითად შეფასდა. დანარჩენებმა — დუსკა. ქერიმოვამ (57), ანა ძაძამიამ (63), ენძელა სოლოღაშვილმა (70), ლია გვიანიძემ (70) და ირინა ლეონიძემ (+78). პირველივე წრეში წააგეს და არც სანუგეშოში ჩართვის შანსი მისცემიათ. თბილისში დაბრუნებულ ნაკრების თავკაც გოდერძი ველიჯანაშვილს განვლილი ტურნირებზე, სალიცენიო შანსებსა და უახლოეს გეგმებზე ვესაუბრეთ



— მთლიანობაში გუნდის გამოსვლით კმაყოფილი ვარ. მარიამ ჩადუნელს საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან მოუხდა ბრძოლა და პირველ წრეშიც გამოცდილ თურქ გულსან ქოჯათურქთან დამარცხდა. ლეონიძე და ქერიმოვა კი მსაჯებმა უმოწყალოდ დაგვიჩაგრეს, თორემ მათაც შეეძლოთ წინ წასვლა. განსაკუთრებით ეს ქერიმოვაზე ითქმის.

**— წელს ჩატარებული სამი ტურნირის შედეგებს, როგორ შეაფასებთ. ახალი სახეები თუ გამოჩნდა?**

— უკმაყოფილების საბაბი, ნამდვილად არ გვაქვს. ჩვენ დასახული გეგმით ვმოქმედებთ და ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ წინ. საუკეთესო კონდიციას კი ყველაზე მნიშვნელოვან დროს, აპრილ-მაისში მივაღწევთ, მაშინ, როდესაც სამ ტურნირზე საპეკინო ლიცენზიები გათამაშდება.

რაც შეეხება ახალგაზრდებს, შეიძლება, მარიამ ტარუაშვილი და ნათია ქულოსაშვილი დავასახელოთ. საკმაო გამოცდილება დააგროვეს და მათი ძალიან მეიმედება.

**— ამ ყველაფერის გათვალისწინებით, ქართველი გოგონების ოლიმპიადაზე მოხვედრის პერსპექტივა როგორ გესახებათ?**

— ძალიან იმედიანად ვარ. მინიმუმ ერთი ლიცენზია აუცილებლად უნდა ავიღოთ. თუ ყველაფერი კარგად წარიმართება, შეიძლება, მეტსაც შევწვდეთ. უფრო ირინა ლეონიძის და დუსკა ქერიმოვას იმედი მაქვს.

**— როგორია თქვენი უახლესი გეგმები?**

— ამ დღეებში ბოლნისში შეკრებას დავიწყებთ. 5 აპრილს ევროპის ჩემპიონატი იწყება და განსაკუთრებით უნდა მოვემზადოთ. 16 მარტს უკრაინის ნაკრები შემოგვიერთდება და წვრთნას ერთად გავაგრძობთ. მართალია, უკრაინელები მეორე შემადგენლობით ჩამოვლენ, მაგრამ მათთან გაჯიბრება მაინც მნიშვნელოვნად წაგვადგება. უკრაინელები ძალიან გამოცდილები არიან. არ არის გამორიცხული, რომ სომხეთის ნაკრებიც ჩამოვიდეს.

**— ევროპაზე წასაყვანი შემადგენლობა შერჩეული გყავთ თუ ჯერ არ ჩამოყალიბებულხართ?**

— ირინა ლეონიძეს, დუსკა ქერიმოვას, ნათია ვეშაგურს და მარი ამ ტარუაშვილს ამ ეტაპზე გუნდში ადგილი დაჯავშნული აქვთ. დანარჩენი იმის მიხედვით შეივსება, შეკრებაზე თავს ვინ როგორ წარმოაჩენს. იმედი მაქვს, რომ ევროპირველობაზე არ შევრცხვებით.

მთავარი კი მაინც სალიცენზიო ტურნირები და სექტემბერში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატია. იმ დროისთვის ფორმის პიკზე უნდა ვიყოთ.

**ლევან მაისურაძე**



# ივონა ქართველთმუსვრელი



კაროლინ ვოზნიაკი

**ქალები**
**ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი**
**საპრიზო 2 100 000 $**

**პირველი წრე**

**მიქაელა კრაიჩეკი** (ჰოლანდია) — სოფია არვიდსონი (შვედეთი) 6:4 6:3; **ნატალი დეში** (საფრანგეთი) — იუნგ-იან ჩანი (ტაივანი) 7:6 6:1; **ვიქტორია აზარენკა** (ბელარუსია) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 7:5 6:3; **ჯილ კრეიბასი** (აშშ) — მარია ელენა კამერინი (იტალია) 6:1 7:5; **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 7:5 2:6 6:3; **ალბერტა ბრიანტი** (იტალია) — ოლგა სავჩუკი (უკრაინა) 6:2 6:4; **მეილენ ტუ** (აშშ) — ტატიანა პუჩეკი (ბელარუსია) 6:3 6:2; **შენეი პერი** (აშშ) — გალინა ვოსკობოევა (რუსეთი) 6:3 6:2; **კაროლინ ვოზნიაკი** (დანია) — იარმილა გაიდოშოვა (სლოვაკეთი) 6:3 6:1; **ივონ მოისბურგერი** (ავსტრია) — ანა ტატიშვილი (საქართველო) 1:6 6:3 6:3; **მარტინა სუხა** (სლოვაკეთი) — იულიანა ფედაკი (უკრაინა) 2:6 6:3 6:3; **კაია კანეპი** (ესტონეთი) — კრისტინა ბრანდი (პუერტო რიკო) 3:6 7:5 6:0; **ტიან ტიან სუნი** (ჩინეთი) — კაროლინ შპრემი (ხორვატია) 6:4 7:6; **აგნეშკა რადვანსკა** (პოლონეთი) — ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) 4:6 6:2 6:4; **ლურდეს დომინგეს ლინო** (ესპანეთი) — ევა ბირნეროვა (ჩეხეთი) 6:0 6:4; **მირიანა ლუჩიჩი** (ხორვატია) — ლინდსი ნელსონი (აშშ) 6:4, 7:6

**მარტში** საჩოგბურთო სამყაროს ყურადღება მთლიანად ამერიკისკენ იქნება მიპყრობილი, რადგანაც აქ ზედიზედ ორი მასტერსი გაიმართება — ჩოგნის მქნეველნი ჯერ კალიფორნიულ ინდიან უელსში მოიყრიან თავს, რის შემდეგაც აშშ-ს მეორე სანაპიროზე, ატლანტის ოკეანისკენ გადაინაცვლებენ და ფლორიდულ კი ბისკეინში შეიკრიბებიან. მასტერსები, როგორც წესი, კაცებისთვის არის ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევაში ოკეანის გაღმა ქალებიც თამაშობენ, რომლებმაც კაცებზე რამდენიმე დღით ადრე დაიწყეს ურთიერთობების გარკვევას.

გუშინ ქალებმა ინდიან უელსის კორტებზე პირველი წრის შეხვედრების დიდი ნაწილიც მოილიეს. მაგრამ სანამ მათ მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, ტურნირის დანაკლისებზე ვთქვათ, რომლებიც ძალიან სერიოზულია. კალიფორნიაში ვერ მოახერხეს ჩასვლა ისეთმა ბობოლებმა, როგორრებიც ამელი მორესმო, ჟუსტინ ენინი და კიმ კლაისტერსი არიან. ამათგან ზოგს ტრავმა აწუხებს, ზოგმაც ევროპაში დარჩენა და დასვენება არჩია. პირველ-მეორე ნომრებად რუსები — მარია შარაპოვა და სვეტლანა კუზნეცოვა სწორედ ამიტომ განთესეს.

ტურნირის დანაკლისების ამ მეტად სოლიდურ სიას გუშინ ელენა დემენტიევაც დაემატა, რომელსაც ფეხი უტკენია და მხოლოდ კიბისკეინისთვის თუ მოასწრებს გამოჯანმრთელებას. გარდა ამისა, ინდიან უელში ასევე არ იქნებიან დები უილიამსები — მათი ტრავმების შესახებ არავის სმენია და რის გამო თქვეს უარი შავ-შავა იანკებმა, მხოლოდ თვითონ უწყიან. ამიტომ მასპინძლეთა მთავარი იმედი ამ ტურნირზე 29-ე ნომრად განთესილი მეგან შონესი იქნება, რაც ამერიკელებს მაინდამაინც კარგ ხასიათზე ნამდვილად არ აყენებთ.

ახლა კი უშუალოდ მატჩებზე გადავიდეთ და ჩვენთვის სამწუხარო ინფორმაციით დავიწყოთ — პირველივე წრეში წააგო ძირითად ბადეში მოხვედრილმა ერთადერთმა ქართველმა ანა ტატიშვილმა, რომელიც ავსტრიელ ივონა მოისბურგერს ვერ გაუმკლავდა. ალპების ეს წარმომადგენელი ჩვენებურების რისხვად იქცა, რადგანაც კვალიფიკაციის პირველ წრეში სწორედ მასთან დამარცხდა მაკა ჩახნაშვილი. მოისბურგერს აშკარად გაუტკბა ქართველებთან თამაში და გუშინ ტატიშვილიც შეიწირა, რომელმაც თავიდან ძალიან კარგად კი დაიწყო და პირველი სეტი დამაჯერებლად მოიგო (6:1), მაგრამ შემდეგ ველარ განავრცო თავისი უპირატესობა და ერთნაირი ანგარიშით (3:6) წაგებული ორი პარტიის შემდეგ ტურნირსაც გამოეთხოვა.

მოიგო თავისი პირველი შეხვედრა კალიფორნიაში ორგანიზატორთა მიერ დაპატიჟებულმა, 90-იანი წლების მიწურულს ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ჩოგბურთელად მიჩნეულმა მირიან ლუჩიჩმა, რომელმაც მასპინძელ ლინდსი ნელსონს ორ სეტში გამოუყვანა წირვა. თავის დროზე ხორვატზე ყველა ძალიან დიდ იმედებს ამყარებდა — 1998 წელს ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო მარტინა ჰინგისთან წყვილში, 1999 წელს კი უიმბლდონის ნახევარფინალში ითამაშა. მაგრამ პირადი პრობლემების გამო ლუჩიჩი დიდხანს ჩამოშორდა კორტს. თუმცა ბალკანელი ისევ გამოჩნდა და ჯერჯერობით ნორმალურადაც დაიწყო.

„ტრავმა არ მქონდა, არც ვარჯიში შემიწყვეტია, მაგრამ გარკვეული პრობლემების გამო ვერ ვთამაშობდი, თუმც ახლა ყველაფერი კარგადაა და მინდა, დიდ ჩოგბურთში დავბრუნდე. დღეს ძალიან ბევრს ვნერვიულობდი და შეცდომებიც ბლომად დავუშვი, თუმც გამარჯვება ძალიან სასიხარულოა. იმედი მაქვს, თანდათან მოვუმატებ" — განაცხადა ნამატჩევს ლუჩიჩმა, რომელიც პარასკევს 25 წლის სრულდება. შემდეგ წრეში კი ხორვატი მერვე ნომრად განთესილ ანა ჩაკვეტაძეს შეხვდება.

მოულოდნელობებიდან აღვნიშნოთ ემილი ლუას მარცხი, რომელიც თითქოს კარგ ფორმაში ხვდებოდა შეჯიბრს — ერთი კვირის წინ მან აკაპულკოში გაიმარჯვა — მაგრამ ვიქტორია აზარენკა აღგა და ორ სეტში გადაურა.

**კახა ლომჯარიძე**

# ჩიხლაძე პადუცშიც იგებს

**საქართველოს** სადევისთასო ნაკრების მეორე ნომერი ლადო ჩიხლაძე აგრძელებს წარმატებულ თამაშს და მოგებათა სერიას. ამ კვირაში ლადო ლიხტენშტაინში, ვადუცის ჭერქვეშა ხალიჩაზე თამაშობს და პირველ წრეში იოლად — 6:2 6:0 გაუსწორდა მე-4 ნომრად განთესილ გერმანელ მერკელ ციმერმანს, ვისაც ATP-ის რეიტინგში 450-ე ადგილი უჭირავს. მეორე წრეში ჩიხლაძის მეტოქე ბელგიელი მაქსიმ ოტომი იქნება.

წარმატებით თამაშობდა ისრაელში, კერძოდ კი რამათ ჰაშერონში მიმდინარე ტურნირზე მანანა შაფაქიძე. სამხრეთაფრიკელი ლიზაან დუ ვლესისის დამარცხების შემდეგ ქართველმა ორ სეტში — 7:6 6:0 მოუგო უზბეკ ვლადა ეკშიბაროვას და მეოთხედფინალს უწია, სადაც მისი მეტოქე მე-7 ნომრად განთესილი ფრანგი კლაირ ფეირშტეინი იყო. ამ 21 წლის ჩოგბურთელმა, ვინც კლასიფიკაციაში 574-ე პოზიციაზე იმყოფება, პირველ წრეში ბრაზილიელი რებეკა ფინგი 4:6 7:6 6:3 დაამარცხა, ხოლო შემდეგ ნორვეგიელ კაროლინ სტეირის 6:1 6:3 სძლია.

სამწუხაროდ, ფეირშტეინმა გუშინ შაფაქიძეც დაამარცხა — 6:3 6:3 და რამათჰაშერონული ტურნირი ქართველის გარეშე დარჩა.



# თასი ბათუმელებმა დაიხრეს

**6-8 მარტს** დიდუბის მძლეოსნობის [illegible] საქართველოს თასი გაითამაშეს. ტურნირში [illegible] მიიღო მონაწილეობა და გუშინ საღამოს [illegible] საინტე-რესოა, რომ ქალებშიც და კაცებშიც ბათუმელმა მშვილდოსნებმა მოიპოვეს ჩემპიონ-პრიზიორობა.

ქალებში ყველას ოლგა ლადიგინამ აჯობა. ფინალში მან ხათუნა ნარიმანიძეს მოუგო, მესამე ადგილზე კი ასმათ დიასამიძე გავიდა. კაცებში ჩემპიონი სერგო ვორონოვი გახდა. მეორე-მესამე ადგილები ტარიელ ქადიძემ და ლადო ბოლქვაძემ გაინაწილეს.

წლეულს საქართველოს თასის კიდევ ორი ეტაპი გაიმართება: აპრილის დასაწყისში ქუთაისში, ხოლო ოქტომბრის ბოლოს ისევ თბილისში. უახლოესი საერთაშორისო ტურნირი კი მშვილდოსან ქალებს მომდევნო კვირაში ელით. თასის მოწინავე სამეულს ნათია (ჯინჯიხ) დაემატება და ეს კვარტეტი 11 მარტს იზმირში გაემგზავრება. თურქეთი ზამთრის მსოფლიოს პირველობას უმასპინძლებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**





# დიმიტრი იაშვილი ინგლისის ვამპირია

**საფრანგეთის** ნაკრების მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა განაცხადა, რომ ტომით ქართველი დიმიტრი იაშვილი ინგლისთან ჯაბში ძირითად შემადგენლობაში იქნება. წლევანდელ ექვს ერზე შერკინებას გამთამაშებლად აქამდე ლაპორტი პიერ მინიონს აყენებდა, მაგრამ ნათქვამი ჰქონდა, რომ უპრინციპულეს მატჩში იაშვილს ენდობოდა. დიმიტრი იაშვილი შარშანდელი ექვსი ერის გმირად ითვლება, თანაც განსაკუთრებით ინგლისელებს უშრობს სისხლს. „დიმიტრიმ დიდი რაგბის თამაში ინგლისურ „გლოსეტრში" დაიწყო და ინგლისური რაგბის ყოველ მომენტს კარგად გრძნობს. მან ზედმიწევნით იცის ჩვენი რაგბის ავ-კარგი" — განაცხადა ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა ბრაიან ეშტონმა.

## შოტლანდიას ოზის ეიმედება

ავსტრალიაში დაბადებულ-გაზრდილი ახლა კი შოტლანდიური პასპორტის მქონე დენ პარკსი „მამაც გულებს" უბრუნდება. პარკსმა ითამაშა წლევანდელი ექვსი ერის პირველი მატჩი ინგლისთან, თუმც ეს ძალიან ულიმღამოდ გააკეთა და ტრავმაც მიიღო. მომდევნო მატჩებში შოტლანდიელთა შეტევებს ფილ გუდმენი და მისი მარქაფა ნიკი უოლკერი უძღვებოდნენ, მაგრამ ისინიც ბედოვლათები გამოდგნენ და ახლა ირლანდიასთან მატჩში ათ ნომრად სკოტებს კვლავ პარკსი ეყოლებათ.

## ლოთეს ფული არ ჰყოფნის



ავსტრალიის ნაკრების ზემოიერიშე ლოთე ტუკირი ქვეყნის რაგბის ფედერაციის შეთავაზებულ კონტრაქტს არ თანხმდება. ტუკირის გადაწყვეტილი აქვს, ისევ 13-კაცა რაგბიში დაბრუნდეს და „ვოლაბებს" საბოლოოდ დაემშვიდობოს. ავსტრალიის რაგბის ფედერაცია კი მულატ გარემარბს 1 მილიონ 600 ათას დოლარს და ბევრ შეღავათს სთავაზობს, მაგრამ ტუკირი ჯერჯერობით უარზეა.

## მსოფლიოს თასი. VII ეტაპი
### ჰოლმენკოლენი. ნორვეგია. 8-11 მარტი

# ისევ ის პუარე


AFP

**თავისი** ბრწყინვალე კარიერის მიწურულს 32 წლის რაფაელ პუარე ტყვიას ტყვიაში აჯენს და მსოფლიოს თასის ეტაპს ეტაპზე იგებს.

იტალიურ ანტერსელვაში რომ 20 კილომეტრზე ინდივიდუალური რბოლა მოიგო, მას შემდეგ პუარე შეუჩერებელია და მეტოქეებს შანს არ უტოვებს. კი ბატონო, წინა ჯერზე, ფინურ ლაჰტიში, სადაც ფრანგმა სამივე რბოლაში იმარჯვა, არ იყო დიადი ნორვეგიელი ოლე ეინარ ბიორნდალენი, მაგრამ გუშინ, უკვე ნორვეგიულ ჰოლმენკოლენში, სადაც სეზონის ბოლოსწინა ეტაპი დაიწყო, სწორედ ბიორნდალენს ევალებოდა ქომაგების გახარება, მაგრამ შორეული საპორროდან, მოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატიდან სამშობლოში დაბრუნებულ ოლეს სროლა არ წაუვიდა — სამი სამიზნე ხელუხლებელი დატოვა და, მიუხედავად იმისა, რომ თხილამურებით დიდებულად ისრიალა, მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა.

პუარე კი კვლავ შეუდარებელი იყო. ფრანგმა ოცივე სამიზნე დაამსხვრია და ამჯერადაც მოიგო თავისი საფირმო, 20-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა.

გენერალურ კლასიფიკაციაში პუარე კიდევ უფრო მიუახლოვდა პირველ ადგილზე მყოფ გერმანელ მიხაელ გრაისს, ვინც გუშინ მეორე ადგილზე გავიდა. თუმცა, სეზონის ბოლომდე ხუთი რბოლაღაა დარჩენილი და გრაისი, ალბათ შეინარჩუნებს ლიდერობას და პირველად დაეუფლება მსოფლიოს თასს. მით უმეტეს, რომ ბიორნდალენი, პრაქტიკულად, აღარ არის კონკურენტი — ნორვეგიელმა წელს სამი ეტაპი გამოტოვა და ამ დანაკარგის ანაზღაურება შეუძლებელი ჩანს.

პუარეს კი მსოფლიოს თასის გამარჯვებულის სარგო ბროლის გლობუსები ისედაც არ აკლია — ოთხი აქვს და დიდად გული არ დაწყდება, დიდი სპორტიდან წასვლის წინ მეხუთეს თუ ვერ მოიპოვებს.

აი, ქალებში გაცილებით დაძაბული სურათია — გერმანელი კატი ვილჰელმი შვედ ანა კარინ ოლოფსონს ოდენ შვიდ ქულასღა უგებს. გუშინ ქალებს 7,5 კილომეტრიანი სპრინტი ჰქონდათ და ვილჰელმი მხოლოდ მე-19 იყო. ოლოფსონმა კი მე-4 ადგილი დაიკავა და ლიდერს კუდში ჩაუჯდა.

ეტაპი სხვა გერმანელმა ანდრეა ჰენკელმა მოიგო. მეორეზე რუსი ეკატერინა იურევა გავიდა, ხოლო მესამე კიდევ ერთი გერმანელი მაგდალენა ნოინერი იყო.

### კაცები

**20 კმ ინდივიდუალური (4 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) | 56 წთ 51,7 წმ (0 აცილება) |
| 2. მიხაელ გრაისი (გერმანია) | +5.5 წმ (1) |
| 3. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | +28.9 წმ (0) |
| 4. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | +1,07.6 წმ (3) |
| 5. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | +1,48.9 წმ (2) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 687 ქულა |
| 2. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) | 617 |
| 3. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 568 |
| 4. ნიკოლაი კრუგლოვი (რუსეთი) | 544 |
| 5. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | 543 |

### ქალები

**7,5 კმ სპრინტი (2 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 21 წთ 47,9 წმ (0 აცილება) |
| 2. ეკატერინა იურევა (რუსეთი) | 22.12,7 (0) |
| 3. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | 22.18,4 (1) |
| 4. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 22.24,4 (1) |
| 5. იუნგ ჩაო კონგი (ჩინეთი) | 22.26,2 (0) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 756 ქულა |
| 2. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 749 |
| 3. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 693 |
| 4. ლინდა გრუბენი (ნორვეგია) | 562 |
| 5. ფლორენს ბევერელ-რობერი (საფრანგეთი) | 520 |



## მორელია-ლინარესის სუპერტურნირი

მექსიკა-ესპანეთი. 16 თებერვალი - 11 მარტი

**XII ტური**

| | | |
|---|---|---|
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0:1 | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 0:1 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |

| | |
|---|---|
| 1. ვიშვანათან ანანდი | 7,5 |
| 2. მაგნუს კარლსენი | 7,0 |
| 3. პიოტრ სვიდლერი | 6,5 |
| 4. ლევონ არონიანი | 6,0 |
| 5. ვესელინ ტოპალოვი | 5,5 |
| 6. ვასილ ივანჩუკი | 5,5 |
| 7. ალექსანდრ მოროზევიჩი | 5,5 |
| 8. პეტერ ლეკო | 5,5 |

# რუსებმა ლინარესი გააშავეს

**მეთორმეტე** ტურში ვიშვანათან ანანდმა ლევონ არონიანთან ყაიმი ითამაშა და ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა. ახლა ინდოელ დიდოსტატს 7,5 ქულა აქვს და უახლოეს მდევარ მაგნუს კარლსენს კვლავ ნახევარი ქულით უსწრებს.

„სუპერტურნირის დასრულებამდე ორი ტური დარჩა და ვეცდები, ეს უპირატესობა არ გავფლანგო" — განაცხადა ანანდმა.

აზიელმა შეხვედრა ფრთხილად დაიწყო, თავიდანვე თავდაცვა გააძლიერა და მეტოქეს იერიშისთვის ყველა გზა მოუსპო. არონიანმა ერთი-ორჯერ სცადა ანანდის დაცვის გარღვევა, თუმც არაფერი გამოუვიდა და 23-ე სვლაზე ყაიმს დაჰყაბულდა.

შავი ფიგურებით იმარჯვეს რუსებმა, პიოტრ სვიდლერმა და ალექსანდრ მოროზევიჩმა. მოპოვებული ქულით სვიდლერმა სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა და ლიდერ ანადთან ქულათა სხვაობა ერთამდე შეამცირა.



## რეგულარული ჩემპიონატი

7 მარტი

**ბუფალო 2:3 კოლორადო**
1:1 1:1 0:1
1:0 პეტში (2), 1:1 ჰეიდუკი (10), 1:2 მაკლინი (21), 2:2 პომინვილი (33), 2:3 ვოლსკი (42)

**ედმონტონი 1:3 ტამპა**
0:0 0:2 1:1
0:1 პროსპალი (31), 0:2 ლეკავალიე (34), 1:2 შმიდი (58), 1:3 ლეკავალიე (60)

**კოლუმბუსი 3:2 ლოს ანჯელესი**
1:0 0:2 1:0 1:0 (ოვერტაიმი)
1:0 პლატი (17), 1:1 დალმენი (23), 1:2 მიუორგი (39), 2:2 ვიბორნი (46), 3:2 ვიბორნი (65)

**ანაჰაიმი 2:1 ფინიქსი**
1:1 0:0 1:0
0:1 დოუნი (1), 1:1 ჯეკმენი (6), 2:1 დიპენტა (52)




# შასტნის ბედნიერი სერია

**ყველას** რომ ეგონა, დასავლეთ კონფერენციაში პლეი ოფში მომხვედრი რვავე გუნდის ვინაობა ცნობილია და მეტი შანსი აღარავის აქვსო, სწორედ აქ ჩაირთო „კოლორადო", რომელმაც ზედიზედ ხუთი მატჩის მოგებით ინტრიგა ხელახლა გაალვივა. „ზვავები" ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ პლეი ოფს გარეთ დარჩენა აიცილონ თავიდან, რისი სიმწარეც მათ ბოლოს 1994 წელს გამოსცადეს, როცა გუნდი ჯერ კიდევ კვებეკის სახელით თამაშობდა.

დენვერელებმა უკვე ზედიზედ მეოთხე გასვლითი შეხვედრა მოიგეს, რაც 2004 წლის შემდეგ ვერ მოუხერხებინათ. რაც არ უნდა მოულოდნელი იყოს, გუნდის მთავარ ძალად ამ ძლევამოსილ სვლაში ახალბედა პოლ შასტნი იქცა, რომელმაც აგერ უკვე ლიგის რეკორდი გაიმეორა — ეს ახალგაზრდა ჰოკეისტი უკვე 17 მატჩია, ყინულს ქულის გარეშე არ ტოვებს. ამ მაჩვენებლით შასტნი „ფინურ ელვა" ტეემუ სელიანეს გაუტოლდა და შემდეგ შეხვედრაშიც თუ დააგროვა ქულა, მაშინ რეკორდს სათავისოდ დაიტოვებს. გარდა ამისა, შასტნიმ საკუთრივ გუნდის რეკორდიც დაამხო — სხვათა შორის, ის მიღწევა, რომელიც მამამისს, ლეგენდარულ პოლ შასტნის ეკუთვნოდა და რომელიც თავის პირველ სეზონში, 1980 წელს, 16 მატჩის განმავლობაში აგროვებდა ქულებს.

„ჯერ მაგაზე ფიქრის და სიხარულის დრო არ მაქვს. საამისოდ ზაფხულში მოვიცლი. ახლა კი მთავარი გუნდის ინტერესებზე ზრუნვაა" — ჯერჯერობით არ ეხეიბება შასტნის.

გუშინ „კოლორადომ" ჩემპიონატის ლიდერ „ბუფალოს" სძლია, სადაც გადამწყვეტი შაიბა კიდევ ერთმა ახალბედა ვოიტეკ ვოლსკიმ გაიტანა. ამ ბიჭს კი საგოლე კაპიტანმა ჯო საკიკმა უპასა, რომელსაც კარიერაში უკვე 965 შედეგიანი გადაცემა დაუგროვდა და ყველა დროის მეპასეებს შორის მე-11 პოზიციაზე გადაინაცვლა, გაუსწრო რა დუგ გილმორს.

სხვა მატჩებიდან კი „ტამპას" მიერ ედმონტონში მოპოვებული გამარჯვება გამოვყოთ. „ელვების" წარმატებაში უდიდესი წვლილი კვლავაც ჩემპიონატის უპირველესმა სნაიპერმა ვენსან ლეკავალიემ მიიტანა, რომელმაც ორი შაიბა შეაგდო და პირადი ანგარიში 45-მდე აიყვანა. როგორც ჩანს, არ ტყუოდა „ტამპას" გენერალური მენეჯერი ჯეი ფისტერი, რომელიც ჯერ კიდევ სეზონის წინ ამბობდა, ვენსანი ისეთ ფორმაშია, 50 გოლს თავისუფლად გაიტანსო.

„ედმონტომს" კი რაიან სმიტის გაცვლის შემდეგ საბოლოოდ ჩაიქნია ხელი ამ სეზონზე — დედლაინის შემდეგ „მენავთობეებს" ქულაც არ აუღიათ. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ედმონტონელები დრაფტის პირველ ნომერს უმიზნებენ და ჩემპიონატის რაც შეიძლება დაბალ ადგილზე დამთავრებას გეგმავენ.

**კახა ლომაშვილი**


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელაია, ხათუნა ბუხუჩიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge